(154) VIII-X

# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ხუთშაბათი, 1 აგვისტო 1996 №74 (299)  ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვიშველე, ელდარ!

**დღეს ატლანტაში ჭიდაობას იწყებს ჩვენი ბოლო იმედი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე. იქნებ მან მაინც...**

...გუშინ კი მძლეოსანმა მაია აზარაშვილმა 200 მეტრი 23,63 წამში გაირბინა და მე-6 ადგილი დაიკავა, ოღონდ ეს იყო პირველი წრის გარბენი, რომელშიც მეექვსეობა ვერაფერი სახეირო გახლდათ და მაიაც ვერ გავიდა მეორე წრეში.



## ამასობაში კი მერთმა ბარდ ლუისმა მეცხრე ოლიმპიური ოქრო მოიგოვა!



# ხვალ მერვე ჩემპიონატს ვიწყებთ

პირველი ჯგუფის გუნდების განაცხადები და ჩემპიონატის კალენდარი იხილეთ 4-5 გვერდებზე

იხილეთ 4-5 გვერდებზე

## „გინგამს“ გახოკიძე სურს

„ინტერტოტოს“ თასზე ფოთელებთან შეხვედრის შემდეგ საფრანგეთის „გინგამის“ ხელმძღვანელობა ნახევარმცველ გიორგი გახოკიძით დაინტერესდა და მის გადასაბირებლად საქმესაც შეუდგომია. წინააღმდეგი არც თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ყოფილა და ფრანგებს თანხმობის ფაქსიც გაუგზავნა. შეგახსენებთ, რომ „დინამომ“ „კოლხეთს“ გახოკიძე ერთი წლით ათხოვა, ისე კი მისი საკუთრებაა. გიორგი საფრანგეთს 7 აგვისტოს უნდა გაემგზავროს.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ჩვენი ფეხბურთელებით უცხოელებს ისევ ქართველი შუამავლები აინტერესებენ, ამჯერად კი ფრანგებმა თავად, სხვათა რეკომენდაციის გარეშე გამოთქვეს გიორგი გახოკიძის გადაბირების სურვილი.

## უეფამ მარგვეთი დააჯარიმა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურიდან გვაცნობეს, რომ უეფამ ზესტაფონის „მარგვეთი“ მალტის „შლემა უონდერერზთან“ საშინაო თამაშისას ფეხბურთელთა არაეთიკური მოქცევისთვის 4 000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.



## დევაძე წამალს ეძებს

ორი კვირის წინ, მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნაკრების მეკარეს აკაკი დევაძეს საექიმოდ გაუხდა საქმე. ამბის დაწვრილებით გასაგებად კაკოს როსტოვში შევეხმიანეთ:

— „სპარტაკთან“ შეხვედრის მერე მარჯვენა ხელზე, იდაყვთან ტკივილები დამეწყო. მართალია, ვარჯიში არ შემიწყვეტია, მაგრამ მარჯვნივ გადახტომის შემდეგ საშინელ ტკივილებს ვგრძნობ. ექიმებმა მითხრეს, ხელის კუნთის ანთება გაქვსო და წამალიც გამომიწერეს. სულ ორჯერ მჭირდება ნემსის გაკეთება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ წამალს, „დიპროსპანს“ როსტოვში ვერ ვშოულობ. მეგობრებს ვთხოვე მოსკოვიდან ჩამოეტანათ, თბილისშიც დავრეკე. პაპოვს და დიმა ზაალიშვილსაც ვუთხარი, რაც მჭირდა. ტრავმა გამირთულდება, თუ წამალს სასწრაფოდ ვერ ვიშოვი. არადა, ფორმაში ვიყავი. ისე, ერთი სული მაქვს, სეზონი როდის დამთავრდება. ცოტასაც მოვიცდი, საქართველოში დავბრუნდები და მერე შევარჩევ სასურველ გუნდს.

ტრავმამ შეაწუხა მურთაზ შელიაც და რამდენიმე მატჩი გამოატოვებინა. როგორც ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გვითხრა, შელია რუსეთის ჩემპიონატის უახლოესი ტურის მატჩს ითამაშებს.

## დღე მეთერთმეტე
ორშაბათი 29 ივლისი

### მძლეოსნობა

ვაჟები. 400 მეტრზე სირბილი
1. მაიქლ ჯონსონი (აშშ) 43,49
2. როჯერ ბლექი (ბრიტანეთი) 44,41
3. დევის კამოგა (უგანდა) 44,53

110 მეტრზე თარჯრბენი
1. ალენ ჯონსონი (აშშ) 12,95
2. მარკ კრიერი (აშშ) 13,09
3. ფლორიან შვარტჰოფი (გერმანია) 13,17

10 ათასი მეტრი
1. ჰაილე გაბრესილასე (ეთიოპია) 27.07,34
2. პოლ ტერგატი (კენია) 27.08,17
3. სალაჰ ჰისუ (მაროკო) 27.28,59

სიგრძეზე ხტომა
1. კარლ ლუისი (აშშ) 850 სმ
2. ჯეიმზ ბექფორდი (იამაიკა) 829
3. ჯო გრინი (აშშ) 824

ქალები. 400 მ
1. მარი-ჟოზე პერეკი (საფრანგეთი) 48,25
2. ქეთი ფრიმენი (ავსტრალია) 48,63
3. ფალილათ ოგინკოია (ნიგერია) 49,10

800 მ
1. სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) 1.57,73
2. ანა კიროტი (კუბა) 1.58,11
3. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1.58,71

10 კმ სიარული
1. ელენა ნიკოლაევა (რუსეთი) 41.49
2. ელიზაბეტა პერონე (იტალია) 42.12
3. ვანგ იანი (ჩინეთი) 42.19

ბადროს ტყორცნა
1. ილკე ვილუდა (გერმანია) 69,66 მ
2. ნატალია სადოვა (რუსეთი) 66,48
3. ელია ზვერევა (ბელარუსი) 65,64

### წყალში ხტომა

ვაჟები. 3-მეტრიანი ტრამპლინი
1. სიონგ ნი (ჩინეთი) 701,46 ქულა
2. იუ ჟონჩენგი (ჩინეთი) 690,93
3. მარკ ლენცი (აშშ) 686,49

### ტანვარჯიში

ვაჟები. მალაყი
1. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 9,787 ქულა
2. ჰონგ-ჩულ იო (კორეა) 9,756
3. ვიტალი შჩერბო (ბელარუსი) 9,724

ორძელი
1. რუსტამ შარიფოვი (უკრაინა) 9,837
2. ჯეარ ლინჩი (აშშ) 9,825
3. ვიტალი შჩერბო (ბელარუსი) 9,800

ძელი
1. ანდრეას ვეკერი (გერმანია) 9,850
2. კრასიმირ დუნევი (ბულგარეთი) 9,825
3. ვიტალი შჩერბო, ბინ ფანი (ჩინეთი) და ალექსეი ნემოვი 9,800

ქალები. ძელი
1. შენონ მილერი (აშშ) 9,862
2. ლილია პოდკოპაევა (უკრაინა) 9,825
3. ჯინა გოჯანი (რუმინეთი) 9,787

თავისუფალი ვარჯიში
1. ლილია პოდკოპაევა (უკრაინა) 9,887
2. სიმონა ანამარი (რუმინეთი) 9,850
3. დომინიკ დოვსი (აშშ) 9,837

### პინგ-პონგი

ქალი წყვილები
1. დენგ იაპინგი და შიაო ჰონგი (ჩინეთი)
2. ლიუ ვეი და შიაო იუნპინგი (ჩინეთი)
3. პარკ ჰაე-ძიუნგი და რიუ იი-ჰაე (კორეა)

### ძალოსნობა

108 კგ
1. თიმურ თაიმაზოვი (უკრაინა) 430 კგ (ატაცში 195; აკვრაში 235)
2. სერგეი სირცოვი (რუსეთი) 420 (195; 225)
3. ნიკუ ვლადი (რუმინეთი) 420 (197,5; 222,5)

### აფროსნობა

„ვარსკვლავა". საზოგადო
1. ბრაზილია (ტორბენ გრელი, მარსელო ფერერა)
2. შვედეთი (ჰანს ვალენი, ბობი ლოზე)
3. ავსტრალია (ქოლინ ბიშელი, დევიდ ჯაილზი)

ვაჟები. „ფინი"
1. მათეუშ კუშნირევიჩი (პოლონეთი)
2. სებასტიან გოდფრუა (ბელგია)
3. როი ჰაინერი (ჰოლანდია)

დაფა „მისტრალი"
1. ნიკოლაოს კაკლამანაკისი (საბერძნეთი)
2. კარლოს ესპინოლა (არგენტინა)
3. გალ ფრიდმანი (ისრაელი)

ქალები. „მისტრალი"
1. ლი ლაიშანი (ჰონკონგი)
2. ბარბარა ქენდოლი (ახალი ზელანდია)
3. ალესანდრა სენსინი (იტალია)

# აქა ქართველთა ამბავი

## ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები გვატყობინებენ



მერაბ რატიშვილი

ატლანტიდან

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ბერძნულ-რომაული სტილის ქართველმა მოჭიდავემ გელა პაპაშვილმა (48 კგ) ოლიმპიადა მეექვსე ადგილით კი დაასრულა, მაგრამ შეჯიბრების დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ გაირკვა, რომ ამ წონაში მესამე ადგილზე გასული ჯაფარ გულიევი (რუსეთი) დოპინგზე ჩავარდა. შედეგი, ცხადია, გააუქმეს. მომდევნო ადგილებზე გასულები კი თითო ადგილით დააწინაურეს. ასე აღმოჩნდა გელა პაპაშვილი მეხუთე ადგილზე.

### წყალში ხტომა

30 ივლისი

ქალები. 3-მეტრიანი ტრამპლინი. გეხსომებათ, ჩვენი მხტომელი ნანა ყაზარაშვილი ოლიმპიადის სტარტამდე ზურგის ტკივილს უჩიოდა. ატლანტაში ყოფნისას მან ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოაგვარა, სანაცვლოდ კი ახალი თავსატკივარი გაიჩინა: სრულიად უწყინარ, „საყოფაცხოვრებო" სიტუაციაში ხელი დაიშავა, თანაც ისე, რომ ოლიმპიადაში მისი მონაწილეობა ერთხანს საეჭვოც იყო.

ბოლოსდაბოლოს, ყაზარაშვილი მაინც შედგა ტრამპლინზე. შეჯიბრებაში 30 ქალი მონაწილეობდა. წინასწარ წრეში ხუთი ნახტომი სრულდებოდა. 18 უმჯობესი სპორტსმენი მომდევნო წრეში, ნახევარფინალში გადიოდა.

ყაზარაშვილმა ჯამში 191,49 ქულა მოაგროვა (38,88; 29,97; 44,52; 31,08; 47,04) და 28-ე ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, ასპარეზობის გასაგრძელებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ნანა ტურნირს გამოეთიშა.

### თანამედროვე ხუთჭიდი

30 ივლისი

თანამედროვე ხუთჭიდელები მართლაც რომ ვაჟკაცი ბიჭები არიან. როგორი საქმეა, 12 საათის განმავლობაში ხუთ აბსოლუტურად განსხვავებულ სახეობაში იასპარეზო, თანაც მხოლოდ დაახლოებით თითოსაათიანი შესვენებებით. მოგეხსენებათ, ადრე ხუთჭიდელები თითო სახეობას თითო დღეს ანდომებდნენ, მაგრამ ორიოდ წელია, წესები შეიცვალა და ახლა ყველაფერი ერთ დღეს იწყება და მთავრდება. ქართველებიდან ხუთჭიდში ვახტანგ იაგორაშვილი გამოდიოდა. მისი წარმატების იმედი გვქონდა და, როგორც გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ, მიუხედავად მის მიერ დაკავებული მეათე ადგილისა. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ.

სროლა. ვახომ ნორმალურად დაიწყო ხუთჭიდის პირველი სახეობა. მეექვსე გასროლამდე (სულ 20 გასროლაა) იგი სულ „რვიანებში" ან „ცხრიანებში" არტყამდა. მერე ერთი „შვიდიანიც" გამოერია. მე-13 გასროლაში კი იმისთანა რამ გააკეთა (მოდი და ნუ დაიჯერებ, ეს რიცხვი თარსიაო), არავის რომ არ უქნია: „ოთხიანში" მოახვედრა. თავად იაგორაშვილმა ასე განმარტა ეს სიტუაცია: „მიზანს ვასწორებდი, ხელი ბოლომდე ჩამოწეული არ მქონია. შუა მოძრაობაში თითი გამექცა და ტყვიაც ნაადრევად გავარდა." მომდევნო გასროლებსაც არაუშავდა, ოღონდ „ათიანი" არ ყოფილა (სულ ვახომ ორი „ათიანი" გააკეთა). საბოლოოდ მან 168 ქულა დააგროვა და სროლაში 29-ე ადგილზე გავიდა. ხუთჭიდის ენაზე, ანუ ქულებზე გადაანგარიშებით ეს 952-ია. ლიდერს, შვეიცარელ ვაიფლერს 1156 ჰქონდა (185 სასროლი ქულა). შეჯიბრების დაწყება 200-ქულიანი დეფიციტით ნამეტანია. არადა, ვახოს საბოლოო შედეგი სროლაში 180-182 ქულაა. ასე რომ ყოფილიყო, იაგორაშვილი ხუთეულში იქნებოდა.

ფარიკაობა. ამ სახეობაში იაგორაშვილი ნორმალურად ასპარეზობდა ხოლმე და ამჯერადაც ასე იყო. 32 ხუთჭიდელი თითოჯერ ხვდება ერთმანეთს და ბრძოლა პირველ ჩხვლეტამდეა. ვახომ 31 ორთაბრძოლიდან 29 მოიგო და მესამე ადგილზე გავიდა. ამ სახეობაში 940 ქულა დააგროვა, ჯამში 1892 გაუხდა და მე-13 ადგილზე გადაინაცვლა. ტურნირს კი ყაზახი ალექსანდრ პარიგინი ჩაუდგა სათავეში — 2042 ქულა.

ცურვა. აქ ვახო ნაღდი მეფეა. მისი მჯობნი მოცურავე ძნელი საპოვნია. ვერც ატლანტის აუზში მოინახა ჩვენებურის დამჩაგრავი. იაგორაშვილმა ბოლო, მეოთხე გაცურვაში აიღო სტარტი კიდურა, მე-8 ბილიკზე. სანაცვლოდ კი შედეგით პირველი იყო — 3.15.09 წუთი. იაგორაშვილმა დიდი უპირატესობით აჯობა ყველას და 1312 ქულაც ჩაიწერა. ვახოს 3204 ქულა გაუხდა და მე-5 ადგილამდე აინაცვლა. ლიდერად კი იტალიელი ჩეზარე ტორალდო მოგვევლინა — ქართველი მასთან 80 ქულით აგებდა. ეს 80 ქულა სროლაში დაახლოებით 180 ქულის ან ფარიკაობაში სამი მოგებული შეხვედრის ტოლფასია.

ცხენოსნობა. ბოლო ორი შეჯიბრებისთვის ორგანიზატორებმა ხუთჭიდელები ჯორჯიის საცხენოსნო პარკში, ატლანტიდან 60 კმ-ის დაშორებით წაიყვანეს. ჯერ იყო ცხენოსნობა, დაბრკოლებების გადალახვა. ცხენები წილისყრით ნაწილდება ხოლმე. ვახოს კარგი ცხენი შეხვდა, სახელად „ჩარლი". საერთოდ, შეჯიბრებამდე ყველა ცხენი მოთელვას გადის და ამის მიხედვით ნიშნებსაც უწერენ. „ჩარლის" უმაღლესი შეფასება ჰქონდა. მაგრამ, რად გინდა: ერთი წუთის განმავლობაში (დაახლოებით ამდენ ხანს ასპარეზობს ერთი კაცი) ვახომ და „ჩარლიმ" 7 წინაღობა ჩამოაგდეს, მაქსიმალურად შესაძლებელ შედეგს 210 ქულა ჩამოაკლეს და 890 დაიწერეს. ვახტანგ იაგორაშვილმა თქვა: „სტარტის წინ ამერიკელმა მწვრთნელმა მითხრა, „ჩარლი" მეტად მგრძნობიარე ცხენია, დაბრკოლების მოახლოებას თავადაც კარგად გრძნობს და ამიტომ ახტომის მომენტში ძალას ნუ დაატან, ნებაზე მიუშვიო. პირველივე დაბრკოლების მერე მივხვდი, ცხენს მეტი კონტროლი სჭირდებოდა. მაგრამ დისტანციის გავლის მომენტში ველარაფერი შევცვალე" ცხენოსნობის შემდეგ ვახო მე-16 ადგილზე აღმოჩნდა.

კროსი. ამ სახეობაში იაგორაშვილი ძლიერი არასოდეს ყოფილა. როცა საპრიზო ადგილზე გადის, კროსამდე ქულათა იმხელა მარაგს იქნის, რომ მეტოქეები ველარ წამოეწიონ ხოლმე. სირბილი კი ჰანდიკაპით ეწყობა (მომდევნო მონაწილე იმდენი წამით გვიან იღებს სტარტს, რამდენ წამსაც აგებს წინა მეტოქესთან), რაც ვახოს შანსებს უფრო ამცირებდა. ასეც მოხდა: გულგატეხილმა იაგორაშვილმა ხეირიანად ვერ ირბინა და მეოცე იყო. საერთო ჯამშიც იაგორაშვილს მე-20 ადგილი ერგო 5226 ქულით.

ჩემპიონობაზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ყაზახი პარიგინი და რუსი ზენოვკა კროსამდე ცხრილის შუაგულში იყვნენ, მაგრამ რბენისას იოლად ჩამოიტოვეს მეტოქეები და ფინიშამდე 100 მეტრით ადრე მხარდამხარ მიჰყვნენ ერთმანეთს. მერე ზენოვკამ აუჩქარა და დაწინაურდა, მაგრამ როცა ფინიშამდე 20 მეტრი რჩებოდა, ფეხი გაუსრიალდა და წამიერად წაიფორხილა. პარიგინსაც ეს უნდოდა — ექსპრესივით ჩაუარა მეტოქეს და ოქროს მედალი მოიპოვა. მისი შედეგია 5551 ქულა. რაღა დროს წუწუნი და მარჩიელობაა, მაგრამ იაგორაშვილს ის წყეული 200 ქულა აქეთ-იქეთ რომ არ მიმოეფანტა, მედალს ულაპარაკოდ მოიპოვებდა. ოლიმპიადის ტურნირმა ესაც კიდევ ერთხელ დაადასტურა: თუკი თანამედროვე ხუთჭიდელი კარგი მორბენალი არ არის, ჩათვალე, რომ იგი ტყუილად ვარჯიშობს.



ელგუჯა ბერიშვილი

ატლანტიდან

30 ივლისს დაიწყო და ხვალ მთავრდება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირი. ოლიმპიური მედლების 10 კომპლექტისთვის 37 ქვეყნის ფალავნები იბრძვიან. საქართველოს ოთხკაციანი გუნდის წევრები — ავთანდილ გოგოლაშვილი (82 კგ) და ზაზა ტყეშელაშვილი (100) პირველნი გამოვიდნენ ხალიჩაზე და სამწუხაროდ იმავე დღეს გამოეთიშნენ ტურნირს.

გოგოლაშვილის პირველი მეტოქე იყო ირანელი ამირ რეზა ჰადემი, რომელიც ოთხი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობდა. გამოცდილება არც გოგოლაშვილს აკლია, მაგრამ უფრო აქტიურმა ირანელმა თავისი გაიტანა — ავთოს ჩოქბჯენში გადაყვანით ზედიზედ სამი ქულა აიღო და გაიმარჯვა. ამის შემდეგ გოგოლაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო: 6:2 აჯობა სენეგალელ ალიდუნე ოლოუთს, 4:1 — ბულგარელ პლამენ პენევს. IV წრე ბოლო გამოდგა ჩვენი მოჭიდავესთვის. აქ ევროპის წლევანდელ ჩემპიონს, აზერბაიჯანელ მაგომედ იბრაგიმოვს შეხვდა და დამატებით დროში ქულებით დამარცხდა — 4:6.

ზაზა ტყეშელაშვილმა სამი წრე იჭიდავა. სტარტზე კენჭისყრამ რუსეთის სახელით მოასპარეზე ლერი ხაბელოვი დაუპირისპირა. საქმე აქაც დამატებით დრომდე მივიდა, რადგან პირველ ხუთ წუთში ლერიმ მხოლოდ 2 ქულის აღება შეძლო. მომდევნო სამ წუთში ქულა არ გაკეთებულა და მსაჯებმა ხაბელოვის გამარჯვება (2:0) დააფიქსირეს. თუ პირველ წრეში ტყეშელაშვილის შანსები მინიმალური იყო, პუერტორიკოელ დანიელ სანჩესთან გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. შერკინება დუნე და უფერული გამოდგა, თავად ზაზა ქულით დაწინაურდა, მაგრამ მერე სანჩესმა იყოჩალა და ზედიზედ ორი ქულა აიღო. მარცხის საფრთხე რომ იგრძნო, ტყეშელაშვილმა ძალა მოიკრიბა და საქმე მოგებამდე მიიყვანა — 3:2. ეს იყო და ეს; მესამე წრეში ვერაფერი მოუხერხა მონღოლ სუმიაბაზარს, 2:6 წააგო და გამოემშვიდობა ოლიმპიადას.

სხვათა შორის, იგივე ბედი ეწია ხაბელოვსაც, რომელსაც, როგორც აქ თქვეს, მძიმე ბრძოლა გადახდა, ვიდრე რუსეთის ნაკრებში მოხვდებოდა. მეორე წრეში ლერი ირანელ ჯადიდისთან დამარცხდა, მესამეში კი საერთოდ არ გამოსულა საჭიდაოდ და, ცხადია, წაგება ჩაეთვალა. როგორც ჩანს, ამით დასრულდა სახელოვანი ფალავნის სპორტული კარიერა. რაც შეეხება გივი სისაურს, ამ უდაოდ ნიჭიერ სპორტსმენს ყველაფერი წინ აქვს და შესაძლოა ოქროს მედალსაც გამოკრას ხელი. თუ ასე მოხდა, ჯილდოს კანადა მიითვლის. გივი შარშან გახდა კანადის მოქალაქე. მას ოლიმპიადაზე ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავს. გივიმ სამი მეტოქე, მათ შორის რუსეთის წარმომადგენელი უმარბანოვი დაჯაბნა და თუ მომდევნოს, მაკედონიელ შაბან ტოსტენას მოუგო, ფინალში იჭიდავებს. აქ, ატლანტაში, ჭიდაობის ქართული სკოლის კიდევ ოთხი წარმომადგენელი გამოდის. ზაზა ზოზიროვი და მურაზ ვალიევი უკრაინის გუნდში არიან, ნუგზარ ჭკუასელი და პაატა ბურდული — საბერძნეთისაში.

როგორც ვარაუდობენ, ყველაზე მეტი ჯილდო ამერიკელებს უნდა დარჩეთ. მასპინძლებს მართლაც ძლიერი გუნდი ჰყავთ. სპორტის ეს სახეობა აქ სულ უფრო პოპულარული ხდება. ატლანტის კონგრესცენტრის დარბაზს პირველსავე დღეს უამრავი გულშემატკივარი მოაწყდა და მათ გასახარად, ამერიკელებმა ბრწყინვალედ იჭიდავეს, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონმა კურტ ენგლმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება დარბაზში, როცა ხალიჩაზე ლეგენდარული ბრუს ბაუმგარტნერს უხმობენ. ამერიკელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ბრუსი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში დაამთავრებს ოლიმპიადას. მასთან ერთად მძიმე წონაში გამოვა ჩვენი ზაზა თურმანიძეც. ის და ელდარ კურტანიძე (90 კგ) დღეს ჩაებმებიან შეჯიბრებაში. სხვათა შორის, დარჩენილი ოლიმპიელებიდან თუ ვინმე გვეიმედება, ეს უწინარესად სწორედ კურტანიძეა. ოლიმპიადის მიწურულს იქნებ მან შეძლოს ნირწამხდარ ქართველთა გახარება.



ავთანდილ გურასაშვილი

ატლანტიდან

ვის გულშემატკივრობენ ამერიკელი კრივის მოყვარულნი? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა თანამემამულეებს, აგრეთვე ყველას, ვინც კუბელების წინააღმდეგ [illegible]

[illegible] მედალოსანი უნდა გამოევლინა, გამარჯვებას არც ერთი დათმობდა იოლად. თანაც, დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ატლანტელები კვლავ მხურვალე მხარდაჭერით გაამხნევებდნენ ჩვენს მოკრივეს. მით უფრო, რომ ატლანტელმა ქართველებმა აქაური ამერიკელები საამისოდაც მოიყვანეს დარბაზში.

დაიწყო ბრძოლა და დარბაზმაც ყიჟინა დასცა. გაძეძგილი ტრიბუნები ხმაშეწყობილად გაიძახოდნენ „კობა", „კობა". კობამაც უმალ აიღო ქულა. მერე — მეორეც. ახლა დოროფტეის ჯერი დადგა და მანაც ზედიზედ ორი ქულა აიღო. თუმცა მაყურებელი ამ ქულების თვლაში ჩვენსავით „გართული" არ იყო, რადგან იგი ასეთ „სიამოვნებას" მოკლებული გახლდათ, რაკიღა [illegible]

უკვე შეიძლება ითქვას, რომ ატლანტაში ყველა სახეობაში, სადაც გამოვდიოდით, სრული კრახი განვიცადეთ. ამდენი წაგებისა და დამარცხების მერე მამაზეციერის იმედიც აღარ გვაქვს და, აბა, ერთი მოკრივის იმედად რაღა გვამყოფებდა. მითუმეტეს, კუბელი ფელიქს სავონის წინააღმდეგ მებრძოლისა. იმ ფელიქს სავონისა, რომელთან შეხვედრას აქამდე ასე დაჟინებით არიდებდა თავს გორელი. ეგ კი არა, რაღა დაგიმალოთ და, ატლანტაში ამდენი წარუმატებლობის მერე ვეჭვობდით, რომ ეს ორი მოკრივე, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს შეებმებოდა.

მაგრამ აი, შეებნენ ერთმანეთს.

დარბაზი ამ შეხვედრამდე მეტნაკლებად რომ ხმაურ- [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღე მეთორმეტე

სამშაბათი 30 ივლისი

### ველოკროსი

ვაჟები

1. ბართ ბრენციენს იანი (ჰოლანდია) 2:17.38
2. თომას ფრიშკნეხტი (შვეიცარია) 2:20.14
3. მიგელ მარტინესი (საფრანგეთი) 2:20.36

ქალები

1. პაოლა პეცო (იტალია) 1:50.51
2. ელისონ საიდორი (კანადა) 1:51.58
3. სუზან დემატეი (აშშ) 1:52.36

### ხუთჭიდი

ვაჟები (დამბაჩის სროლა, დაშნით ფარიკაობა, ცურვა, ცხენოსნობა, სირბილი)

1. ალექსანდრ პარიგინი (ყაზახეთი) 5551 ქულა
2. ედუარდ ზენოვკა (რუსეთი) 5530
3. იანოშ მარტინეკი (უნგრეთი) 5501

...

20. ვახტანგ იაგორაშვილი (საქართველო) 5226

### სოფტბოლი

1. აშშ
2. ჩინეთი
3. ავსტრალია

### პინგ-პონგი

ვაჟი წყვილები

1. კონგ ლინგჰუი და ლიუ გოილიანგი (ჩინეთი)
2. ლუ ლინი და ვანგ ტაო (ჩინეთი)
3. ლი ჩუნ-სენგი და იო ნამ კიუ (კორეა)

### ძალოსნობა

108 კგ

1. ანდრეი ჩემერკინი (რუსეთი) 457,5 კგ (197,5; 260)
2. რონი ველერი (გერმანია) 455 (200; 255)
3. სტეფან ბოტევი (ავსტრალია) 450 (200; 250)

### აფროსნობა

„ტორნადო"

1. ესპანეთი (ფერნანდო ლეონი, ხოსე-ლუის ბალესტერი)
2. ავსტრალია (მიჩ ბუსი და ენდრიუ ლანდერბერგერი)
3. ბრაზილია (ლარს გრელი და კიკო პელიკანო)

### პინგ-პონგი

ვაჟთა წყვილები.

მე-3-ე ადგილისთვის ჩულსეუნგი, ნამ კი იო (კორეა) — შტეფან ფეტცნერი, იორგ როსკოპფი (გერმანია) 21:18, 21:13, 22:20.

ფინალი. კონგ ლინჰუი, ლიუ გუოლიანგი (ჩინეთი) — ლუ ლინი, ვან ტაო (ჩინეთი) 21:8, 13:21, 21:19, 21:11.

20 წლის ჩინელმა კონგ ლინჰუიმ და ლიუ გუოლიანგმა დაამარცხეს ბარსელონას ოლიმპიადის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები ლუ ლინი და ვან ტაო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვან ტაო მოუშუშებელი ტრავმით ასპარეზობდა.

ქალები.

მეოთხედფინალი. დენ იაპინგი (ჩინეთი) — ნიკოლ შტრუსი (გერმანია) 21:16, 21:9, 21:13. ლიუ ვეი (ჩინეთი) — ხიონ კიმი (კორეა) 21:12, 22:20, 21:14. ჯინ ჩინი (ტაივანი), ტან ლუი ჩენი (ჰონკონგი) 21:12, 21:15, 21:19. ხონგ კაო (ჩინეთი) ჩირე კოიამა (იაპონია) 21:18, 21:19, 21:16.

ნახევარფინალები. ინ ჩენი (ტაივანი). ხონგ კაო (ჩინეთი) 21:9, 23:21, 21:17. დენ იაპინგი (ჩინეთი) — ლიუ ვეი (ჩინეთი) 21:23, 21:17, 21:19, 21:9.

ქალთა წყვილები.

მესამე ადგილისთვის. ხაე იუნგ პარკი, ჯი ხაე რუი (კორეა) — მო კიო კიმი, კუონგ აე პარკი (კორეა) 21:16, 21:8, 14:21, 21:13.

ფინალი. დენ იაპინგი (ჩინეთი), სიაო ჰონგი (ჩინეთი) — ლიუ ვეი, სიაო იუნ პინგი (ჩინეთი) 18:21, 25:23, 22:20, 21:14

### ჩოგბურთი

ვაჟებთა წყვილები.

მეოთხედფინალი. კიოლნერი, პრინოსილი (გერმანია) — პირსონი, ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:2, 6:3, ვუდბრიჯი, ვუდფორდი (ავსტრალია) — ბრუგერა, კარბონელი (ესპანეთი) 6:4, 6:1, ბროდი, ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) — ნოვაკი, ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6, 6:4, ელტინგი, ჰარჰიუსი (ჰოლანდია) — ელის ფერეირა, უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6, 7:6.

ერთეულები. ბრუგერა (ესპანეთი) — ვაშინგტონი (აშშ) 7:6, 7:5, პეისი (ინდოეთი) — ფურლანი (იტალია) 6:1, 7:5, აგასი (აშშ) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 4:6, 7:5, მელიგენი (ბრაზილია) — ოლხოვსკი (რუსეთი) 6:7, 7:5, 6:3.

ქალები

ნოვოტნა (ჩეხეთი) — სელეში (აშშ) 7:5, 3:6, 8:6, სანჩესი (ესპანეთი) — დატე (იაპონია) 4:6, 6:3, 10:8, დავენპორტი (აშშ) — მაიოლი (ხორვატია) 7:5, 5:3, მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — მარტინესი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:3.

ერთბაშად ორმა ფავორიტმა მონიკა სელეშმა და კონჩიტა მარტინესმა ვერ მიაღწიეს მედლებამდე.

წყვილები

ჯიჯი ფერნანდესი, მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — ლეიქი, ვუდი (დიდი ბრიტანეთი) 6:2, 6:1, ნოვოტნა, სუკოვა (ჩეხეთი) — ჰეტერინგტონი, ჰაი-ბულე (კანადა) 6:2, 6:4, მარტინესი, სანჩესი (ესპანეთი) — სარგარამი, ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:1, 6:2, ბოლეგრაფი, შულცი (ჰოლანდია) — ჰინგისი, შნაიდერი (შვეიცარია) 6:4, 6:3.

### ფეხბურთი

ვაჟები.

ნახევარფინალი. არგენტინა — პორტუგალია 2:0

არგენტინელები ოლიმპიადაზე ძლიერ და ლამაზ ფეხბურთს უჩვენებენ. პორტუგალიელებთანაც პირველი ტაიმი მათი უპირატესობით წარიმართა. მათ მრავლად ჰქონდათ სახიფათო მომენტები მეტოქის კართან. ერთხელ კი რაღაც სასწაულით ვერ გაიტანეს. ალმეიდას დარტყმული მეკარემ მოიგერია. ცარიელ კარში 7-8 მეტრიდან ურტყამდა ლოპესი, მაგრამ პორტუგალიელთა მცველმა ერნანმა ნახტომში ფეხით ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

მეორე ტაიმის 55-ე წუთზე არგენტინელთა თავდამსხმელმა ერნან კრესპომ მარჯვნიდან ჩამოწოდებული ბურთი ლამაზი თაური დარტყმით ბადეში მოათავსა. რამდენიმე წუთში კი საჯარიმო მოედნის სიახლოვიდან ტექნიკურად დაარტყა შორეულ კუთხეში — 2:0.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და კრესპომ ერთი შეხებით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა არიელ ორტეგა, მან მეკარეც მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარს მახვილი კუთხიდან ააცილა. მატჩის მიწურულს პორტუგალიელებსაც ჰქონდათ მომენტი, მაგრამ გომეშმა ხუთი მეტრიდან მეკარეს მოარტყა ბურთი. ვიდალის შესანიშნავი გარღვევის შემდეგ კი ბურთი ძელს მოხვდა. არგენტინა ფინალშია.

### კალათბურთი

ქალები

„ა" ჯგუფი. ბრაზილია — იტალია 75:63, იაპონია — კანადა 95:85, რუსეთი — ჩეხეთი 94:68

1. ბრაზილია 5 მოგება, 2. რუსეთი 3, 3. იტალია 2, 4. ჩინეთი 2, 5. იაპონია 2, 6. კანადა 0

„ბ" ჯგუფი. უკრაინა — ავსტრალია 54:48, აშშ — კორეა 105:64, კუბა — ზაირი 73:59

1. აშშ 5, 2. უკრაინა 3, 3. ავსტრალია 3, 4. კორეა 2, 5. კუბა 2, 6. ზაირი 0

ვაჟები.

მეთხედფინალი. ლიტვა — საბერძნეთი 99:66, იუგოსლავია — ჩინეთი 128:61, ავსტრალია — ხორვატია 73:71, აშშ — ბრაზილია 98:75.



„მაიამი ჰითის" იუგოსლავი ხვიდიგი პრედრაგ დანილოვიჩი ნბა-ურ ილეთს უტარებს ჩინელებს — ბურთს კალათში უტენის!

### ხელბურთი

ვაჟები.

„ა" ჯგუფი. შვედეთი — ქუვეითი 33:18, ხორვატია — რუსეთი 25:24, შვეიცარია — აშშ 29:20

ხორვატებმა ბოლო წამზე გამოგლიჯეს გამარჯვება რუსებს.

შვედეთი, ხორვატია 8-8 ქულა, რუსეთი, შვეიცარია 4-4, აშშ, ქუვეითი 0-0

„ბ" ჯგუფი. საფრანგეთი — ეგვიპტე 25:20, გერმანია — ალჟირი 25:23, ესპანეთი — ბრაზილია 27:17

საფრანგეთი 8 ქულა, ეგვიპტე 6, ესპანეთი, გერმანია 4-4, ალჟირი, ბრაზილია 0-0

ქალები.

„ა" ჯგუფი. დანია — უკრაინა 27:22, ჩინეთი — აშშ 27:21

ლიდერების, დანიისა და უნგრეთის მატჩის დასაწყისში სილაშის და კიშის კარგი თამაშის წყალობით უნგრელები საგრძნობლად გავიდნენ წინ 7:2, მაგრამ დანიელებმა პირველივე ტაიმში შეძლეს დაწინაურება (14:12) და მეორეშიც. სულ ისინი იყვნენ წინ. უნგრელებმა ვერაფერი მოუხერხეს კანა ანდერსენისა და ეგიტა მადსენის დარტყმებს, თუმცა მარია სილაშის, ერჟებეტ კიშის და ერჟებეტ ნადის ზუსტი ტყორცნებით ანგარიში კარგა ხანს მაინც თანაბარი იყო. ბოლო წუთზე თავი გამოიჩინა ჟანა კოლინმა, რომელიც მანამდე შესამჩნევი ფიგურა სულაც არ გახლდათ. მან ზედიზედ სამი გოლი გაიტანა უნგრელთა კარში და მატჩის ბედიც გადაწყდა.

1. დანია 6 ქულა, 2. უნგრეთი 4, 3. ჩინეთი 2, 4. აშშ 0

„ბ" ჯგუფი. გერმანია — ანგოლა 27:12, კორეა — ნორვეგია 25:21

1. კორეა 6 ქულა, 2. ნორვეგია 4, 3. გერმანია 2, 4. ანგოლა 0

ნახევარფინალებში ერთმანეთს ხვდებოდნენ: დანია — ნორვეგია, კორეა — უნგრეთი

### ბალახის ჰოკეი

ვაჟები.

ავსტრალია — დიდი ბრიტანეთი 2:0, კორეა — მალაიზია 4:2, ჰოლანდია — სამხრეთ აფრიკა 4:1

ქალები.

დიდი ბრიტანეთი — არგენტინა 5:0, კორეა — გერმანია 1:0, აშშ — ესპანეთი 2:0, ავსტრალია — ჰოლანდია 4:0

### სოფტბოლი

ჩემპიონობა მოიპოვეს ამერიკელებმა, რომელთაც ფინალში ჩინელებს მოუგეს. მესამე ადგილი ავსტრალიელებმა დაიკავეს.



ამერიკელმა სოფტბოლელმა გოგოებმა ფინალში ორმაგი ჰოუმ-რანი დაურტყეს ჩინეთს და დიდად გაიხარეს, პირველებმა რომ მოიგეს ოქროს მედლები

### კეტბურთი

ჰოლანდია — იტალია 8:7, კუბა — ნიკარაგუა 8:7, იაპონია — კორეა 14:4, აშშ — ჰოლანდია 17:1, იაპონია — იტალია 12:1

### ფრენბურთი

ვაჟები.

„ა" ჯგუფი. რუსეთი — ტუნისი 3:0 (15:9, 15:10, 15:11), იტალია — იუგოსლავია 3:0 (15:12, 15:8, 15:12), ჰოლანდია — კორეა 3:0 (15:4, 15:11, 15:12)

იტალიელმა ჯანიმ იუგოსლავიელთან მესამე პარტიაში ხუთი ბურთი (!) პირდაპირ მოწოდებით ჩააგდო.

1. იტალია 5 მოგება, 2. ჰოლანდია 6, 3. იუგოსლავია 3, 4. რუსეთი 2, 5. კორეა 1, 6. ტუნისი 0

„ბ" ჯგუფი. ბრაზილია — კუბა 3:1 (15:11, 15:10, 15:11), ბულგარეთი — აშშ 3:2 (15:11, 13:15, 11:15, 15:5, 15:12), არგენტინა — პოლონეთი 3:1 (7:15, 17:15, 15:10, 15:9)

ამ ჯგუფში დიდი ამბები დატრიალდა. ბრაზილიელებმა, რომლებმაც სტარტზე გუნდის კაპიტანი კარლაო გამოაკლდათ და უფერულად დაიწყეს ოლიმპიადა, შესანიშნავად ითამაშეს ბოლო ტურებში და აქამდე დაუმარცხებელ კუბასაც კი მოუგეს. ბულგარელებმა განევის თავკაცობით დაამარცხეს და მედლებისთვის ბრძოლას გამოთიშეს ამერიკელები.

1. კუბა 4 მოგება, 2. ბულგარეთი 3, 3. არგენტინა 3, 4. ბრაზილია 3, 5. აშშ 2, 6. პოლონეთი 0

ქალები (მეოთხედფინალები)

ჩინეთი — გერმანია 3:0 (15:12, 15:8, 15:8), რუსეთი — ჰოლანდია 3:1 (10:15, 15:7, 15:9, 15:10), კუბა — აშშ 3:0 (15:1, 15:10, 15:12)

### ბადმინტონი

ვაჟთა წყვილები.

ნახევარფინალები. რექსი მაინაკი, რიკი სუბაჯია (ინდონეზია) — ბენ კიან სუ, კიმ ხერ ტანი (მალაიზია) 15:3, 15:5; სუნ კიტ ჩეა, კიმ ჰოკ იაპი (მალაიზია) — ანტონიუს კანტონო, დენი კანტონო (ინდონეზია) 15:10, 15:4; მესამე ადგილისთვის ანტონიუს კანტონო, დენი კანტონო (ინდონეზია) — ბენ კიან სუ, კიმ ხერ ტანი (მალაიზია) 15:4, 12:15, 15:8

ქალთა წყვილები.

იუნგ ხუ, ფეი ხე (ჩინეთი) — რიკე ოსენი, ჰელენ კირკგაარდი (დანია) 15:8, 15:2; ხიე ოკ ტანგი, იუნგ ახ გილი (კორეა) — იუნგსუ ტანგი, იუიუან კინი (ჩინეთი) 15:12, 10:15, 18:16

მესამე ადგილისთვის იუნგსუ ტანგი, იუიუან კინი — რიკე ოსენი, ჰელენ კირკგარდი 7:15, 15:4, 15:8

შერეული წყვილები.

დონ კიმ მუნი, იუნგ ახ გილი (კორეა) — ტრიკუს ჰერიანტო, მინარტი ტიმური (ინდონეზია) 15:4, 15:13

ლიუ იანიუნი, სუნ მანი (ჩინეთი) — ნიმფელე ფლუნდი, როსალინა რისე (ინდონეზია) 15:2, 5:15, 15:7

იოო ბონ პარკი, კუინ მი რა (კორეა) — ტაო ხაოგიანგი, ვან ხიაოუანი (ჩინეთი) 15:7, 15:9

ჩენ ხინგ დონგი, პენგ ხინგ იონგი (ჩინეთი) — მაიკელ სოგაარდი, რიკე ოსენი (დანია) 15:10, 6:15, 18:16

ნახევარფინალში დონ კიმ მუნი, იუნგ ახ გილი (კორეა) — ჩენ ხინგ დონგი, პენგ ხინგ იონგი (ჩინეთი) 15:6, 15:8

ვაჟები.

ნახევარფინალი. იოო ბონ პარკი, კუინ მი რა (კორეა) — ლიუ იან იუნი, სუ მანი (ჩინეთი) 15:10, 15:4. დონგ იონგი (ჩინეთი) — რაშიდ სიდეკი (მალაიზია) 15:6, 18:16

ქალები.

ნახევარფინალები. სუ ბანგ ხუინი (კორეა) — სუზი სუზანტი (ინდონეზია) 11:9, 11:8 მია აუდინა (ინდონეზია) — კი ჯიმ ხუინი (კორეა) 11:6, 9:11, 11:1



ამერიკელმა ფეხბურთელმა გოგოებმა დამატებით დროში „ოქროს გოლით" აჯობეს ნორვეგიის და ფინალში გავიდნენ, სადაც დღეს ჩინელებს ეთამაშებიან. სურათზე ის მომენტია აღბეჭდილი, ოლიმპიადის მასპინძლები შენონ მაკმილანის გადამწყვეტი გოლით რომ ხარობენ

### ქვეყნების მონაგარი

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 25 | 28 | 13 |
| რუსეთი | 19 | 14 | 8 |
| საფრანგეთი | 13 | 6 | 13 |
| ჩინეთი | 12 | 15 | 8 |
| იტალია | 11 | 6 | 9 |
| გერმანია | 10 | 12 | 19 |
| ავსტრალია | 7 | 9 | 18 |
| პოლონეთი | 6 | 5 | 3 |
| უკრაინა | 5 | 2 | 5 |
| რუმინეთი | 4 | 5 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 |
| კუბა | 3 | 5 | 7 |
| კორეა | 3 | 5 | 4 |
| იაპონია | 3 | 4 | 3 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 1 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 0 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 |
| თურქეთი | 3 | 0 | 1 |
| კანადა | 2 | 7 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 8 |
| ყაზახეთი | 2 | 3 | 1 |
| ბრაზილია | 2 | 2 | 5 |
| ბელგია | 2 | 2 | 2 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 2 |
| სამხრეთ აფრიკა | 2 | 0 | 1 |
| ეთიოპია | 2 | 0 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 4 | 7 |
| ბრიტანეთი | 1 | 3 | 5 |
| ჩეხეთი | 1 | 2 | 1 |
| ფინეთი | 1 | 2 | 0 |
| ჩრდილოეთი კორეა | 1 | 1 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 1 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 0 |
| კოსტა-რიკა | 1 | 0 | 0 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 |
| ჰონკონგი | 1 | 0 | 0 |
| სირია | 1 | 0 | 0 |
| ბულგარეთი | 0 | 4 | 4 |
| შვედეთი | 0 | 2 | 1 |
| იამაიკა | 0 | 2 | 0 |
| კენია | 0 | 2 | 0 |
| ავსტრია | 0 | 1 | 1 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 1 |
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| ხორვატია | 0 | 1 | 0 |
| ნამიბია | 0 | 1 | 0 |
| სლოვენია | 0 | 1 | 0 |
| უზბეკეთი | 0 | 1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| ისრაელი | 0 | 0 | 1 |
| მექსიკა | 0 | 0 | 1 |
| მოლდოვა | 0 | 0 | 1 |
| მონღოლეთი | 0 | 0 | 1 |
| მაროკო | 0 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 0 | 0 | 1 |
| ნიგერია | 0 | 0 | 1 |
| ტრინიდად-ტობაგო | 0 | 0 | 1 |
| უგანდა | 0 | 0 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დინამო

მეკარეები

გელა ჰანტურია (1964)
ირაკლი ზოიძე (1968)
დავით ჯანელიძე (1973)

მცველები

მამუკა მაჭავარიანი (1970)
ნუგზარ ლობჟანიძე (1971)
გივი დიდავა (1976)
ზაზა ზამთარაძე (1976)
დიმიტრი კუდინოვი (1963)

ნახევარმცველები

გიორგი კიკნაძე (1976)
ლევან ცქიტიშვილი (1976)
კახა გოგიჩაიშვილი (1968)
გოჩა ჯამარაული (1971)
გელა ინალიშვილი (1966)
გიზო ჯელაძე (1975)
გიორგი ანჩაბაძე (1973)
როინ კერძევაძე (1970)

თავდამსხმელები

გიორგი დემეტრაძე (1976)
ლევან ხომერიკი (1974)
დავით ყიზილაშვილი (1970)

მთავარი მწვრთნელი

დავით ყიფიანი

## მარგვეთი

მეკარეები

ვეფხია გვენცაძე (1963)
გაბრიელ ბოჭორიშვილი (1971)

მცველები

მალხაზ ლონდიძე (1966)
ზაზა გურიელიძე (1966)
გენადი ლანჩავა (1972)
ირაკლი მიღლაკელიძე (1973)
მირიან გეწაძე (1972)
მალხაზ ჟვანია (1976)
თამაზ გაბრიჭიძე (1968)

ნახევარმცველები

მამუკა უკლება (1967)
გოჩა სულაკაძე (1978)
გენადი კაციაშვილი (1970)
როინ მარღიშვილი (1971)
რაჟდენ მერკველიშვილი (1980)
მიხეილ მუმლაძე (1978)

თავდამსხმელები

ჯაბა წიკლაური (1968)
ლევან ქებაძე (1975)
ლევან ბერიშვილი (1975)
ლევან შავგულიძე (1980)

მთავარი მწვრთნელი

ნოდარ კიკნაძე

## კოლხეთი 1913

მეკარეები

მამუკა გვასალია (1967)
გია გოგუა (1969)

მცველები

ბადურ კაკაჩია (1967)
გოგიტა ქუნთელია (1971)
ოთარ თიბილაშვილი (1965)
შალვა ხუჯაძე (1975)
მიხეილ ქობულაძე (1974)
კახა გოროზია (1972)

ნახევარმცველები

ზაველ ღაღნიძე (1972)
ბახვა ამბაძე (1967)
გია გიორგაძე (1967)
დავით სოლოღაშვილი (1969)
გიორგი გახოკიძე (1977)
ზაზა ინიაშვილი (1969)
ვალერი ტორჩინავა (1969)

თავდამსხმელები

ნუგზარ მიქაბერიძე (1963)
მამუკა ბულუხია (1971)
გოჩა ყულეჯიშვილი (1973)
გია მიშველაძე (1973)
ლევან ხაბულიანი (1976)

მთავარი მწვრთნელი

სოსო ფილია

## სამტრედია

მეკარეები

გიორგი ჰანტურია (1973)
ზვიად სტურუა (1977)

მცველები

პაატა ლუხუმაშვილი (1971)
გიორგი მჭედლიშვილი (1966)
შოთა დარსაძე (1974)

ნახევარმცველები

გელა ფანჩულიძე (1968)
შოთა ჩომახიძე (1978)
ლევან ანჯაფარიძე (1975)
ნიკოლოზ ნოდია (1969)
მამუკა ხახიშვილი (1975)
რობერტ ცომაია (1979)

თავდამსხმელები

ბიძინა ივეჩიანი (1979)
ელდარ გვასალია (1972)

მთავარი მწვრთნელი

კახა ელაშვილი

## მეტალურგი

მეკარე

ანდრო კოროშინაძე (1972)

მცველები

მამუკა ჭიჭინაძე (1974)
დიმიტრი ასროშვილი (1976)
ლევან სულაგაძე (1976)
მიხეილ სახვაძე (1977)
ამირან კედელაშვილი (1976)
ზაზა პატარიძე (1973)
მამუკა მურჯიკნელი (1971)
ალექსანდრე რეხვიაშვილი (1974)

ნახევარმცველები

მიხეილ გაბელაია (1975)
კახაბერ ალადაშვილი (1975)
ზურაბ ლაბაძე (1976)
პავლე ბექაური (1972)
დავით მენთეშაშვილი (976)

თავდამსხმელი

რობერტ ზირაქიშვილი (1975)
მამუკა მელაძე (1974)
არმაზ ჭელაძე (1978)

მთავარი მწვრთნელი

რევაზ ძოძუაშვილი

## ბათუმი

მეკარეები

ნიკოლოზ ტოგონიძე (1971)
დავით გვარამაძე (1975)

მცველები

გელა შეყილაძე (1970)
ვალერი შანიძე (1965)
მალხაზ მახარაძე (1963)
თენგიზ სიჭინავა (1972)
ზურაბ მინდიაძე (1972)
ივანე მახარაძე (1970)
დავით ჭიჭვეიშვილი (1975)

ნახევარმცველები

ბადრი ფუტკარაძე (1971)
როსტომ თორლაშვილი (1964)
თეიმურაზ ტუღუში (1972)
ალექსანდრე კანტიძე (1968)
ამირან მუჯირი (1974)
ავთანდილ ღლონტი (1974)
ვიტალი დარასელია (1978)

თავდამსხმელები

გოჩა ტრაპაიძე (1976)
დავით მახარაძე (1965)
პაატა მაჭუტაძე (1968)
დავით უჯმაჯურიძე (1970)

მთავარი მწვრთნელი

შოთა ჭეიშვილი

## ტორპედო

მეკარეები

ნიკოლოზ ხელაძე (1972)
დავით მამარდაშვილი (1977)

მცველები

ალექსანდრე შეყრილაძე (1970)
კობა სადილიანი (1971)
გიორგი ვაშაკიძე (1965)
დავით რუხაძე (1963)
მალხაზ ჯინჭარაძე (1971)
იოსებ გიგიძე (1977)
გელა გედენიძე (1974)

ნახევარმცველები

კახა კვეტენაძე (1970)
გიორგი შენგელია (1979)
კახა ჩხეტიანი (1978)
შალვა მუმლაძე (1978)
ირაკლი ხაჭაპურიძე (1977)

თავდამსხმელები

მერაბ მეგრელაძე (1956)
გია მეგრელაძე (1978)
ზაზა ვაჩიბერაძე (1973)
ვასილ გოგიაძე (1977)

მთავარი მწვრთნელი

სოსო ფრუიძე

## დილა

მეკარე

რამაზ სოლოლაშვილი (1977)
დავით მდივანი (1970)

მცველები

ვაჟა თარხნიშვილი (1971)
გიორგი ლომიძე (1977)
რევაზ ხაჭაპურიძე (1974)
გიორგი ბალიშვილი (1973)
ჯამბულ გიგნიძე (1963)

ნახევარმცველები

თამაზ ციცქიშვილი (1070)
ჯიმშერ მარეხაშვილი (1965)
დავით მაისურაძე (1978)
პაატა ფეზუაშვილი (1978)
ზაზა ლურწკაია (1971)
გიორგი რევაზიშვილი (1977)
ალექსანდრე კაიდარაშვილი (1978)
კახაბერ გუდურაშვილი (1979)

თავდამსხმელი

შალვა ტაბატაძე (1966)
გიორგი წკრიალაშვილი (1973)
ბაკურ ჯალაბაძე (1978)

მთავარი მწვრთნელი

ნიკა ამირეჯიბი

## სიონი

მეკარეები

ნუგზარ დალაქიშვილი (1971)
გია ბაბუაძე (1970)

მცველები

იუზა მეფარიშვილი (1973)
გიორგი ყიფშიძე (1961)
არჩილ შაკიაშვილი (1973)
მურად ყაველაშვილი (1969)
გია ქორთუა (1973)
კახა გოდერძიშვილი (1974)

ნახევარმცველები

ავთანდილ გაბრიჭიძე (1966)
ვახტანგ სამხარაძე (1968)
ელგუჯა ჯაფარიძე (1976)
კოტე მეტრეველი (1974)
მალხაზ სამხარაძე (1976)
გიორგი ყიფიანი (1978)
ნორმენ ტარტარაშვილი (1965)
გია ჩომახიძე (1975)

თავდამსხმელები

ზურაბ ქოიავა (1972)
ბესიკ უგულავა (1969)
ჯონი ჯაგიდისი (1962)
გელა გაბისონია (1970)

მთავარი მწვრთნელი

ნოდარ ხიზანიშვილი

## ივერია

მეკარეები

როინ გოგალიძე (1973)
პაატა ხვედელიძე (1972)

მცველები

ზაზა ლაციბაძე (1975)
ზაზა ნეკერაშვილი (1970)
ივანე ხარაზიშვილი (1963)
გელა ლურსმანაშვილი (1970)
შალვა ლაციბაძე (1975)
გურამ ლომიძე (1975)
მიხეილ ლომიძე (1978)

ნახევარმცველები

მიხეილ კალმახელიძე (1973)
გიორგი ჩიდუნელი (1972)
რევაზ გლუნჩაძე (1975)
პაატა ხვედელიძე (1972)
პაატა მელაძე (1980)

თავდამსხმელები

ბესო ვეშაპიძე (1977)
ვალერი ზირაქაძე (1978)
ჰამლეტ წივწივაძე (1974)
მალხაზ თორია (1973)

მთავარი მწვრთნელი

მალხაზ ლაციბაძე

## ოდიში

მეკარეები

მამუკა აბუსერიძე (1962)
მამუკა ნაყოფია (1972)

მცველები

ბადრი ახვლედიანი (1970)
ლევან მიქაძე (1973)
ვალტერ გუჩუა (1975)
სოსო ჭედია (1964)
ირაკლი ბარქაია (1976)
გელა კვიტატიანი (1971)

ნახევარმცველები

გოჩა კვარაცხელია (1968)
ზაზა აფაქიძე (1970)
მანუჩარ კუტალია (1977)
მამია ჯიქია (1975)

თავდამსხმელები

მამუკა ფანცულაია (1967)
ჯუმბერ კალანდაძე (1969)

მთავარი მწვრთნელი

მურთაზ ხურცილავა

## შევარდენი 1906

მეკარეები

ნოდარ სიდამონიძე (1971)
ემზარ მოსულიშვილი (1973)

მცველები

ალექსანდრე თელიაშვილი (1976)
თენგიზ კობიაშვილი (1975)
ლევან პარასკევაშვილი (1976)
დიმიტრი ვერემჩუკი (1976)
კოტე მელქაძე (1970)
ლავრენტი გიგუა (1976)

ნახევარმცველები

გოჩა გოძიაშვილი (1976)
ვალერი მაჭავარიანი (1975)
ნიკოლოზ მინდიაშვილი (1975)
კახა კობესაშვილი (1976)
ოთარ როსტიაშვილი (1976)
გიორგი ქორიძე (1976)

თავდამსხმელები

ლერი საბიაშვილი (1975)
დავით ჩიგოშვილი (1975)

მთავარი მწვრთნელი

უჩა ქანთარია

## გურია

მეკარეები

თემურ ვოლკოვი (1971)
გია ჭიფიძე (1980)

მცველები

თემურ ლურწკაია (1968)
ჯუმბერ ბერიძე (1977)
იგორ კოროტკოვი (1965)
ირაკლი ფაცურია (1977)
ალეკო გაბარაშვილი (1970)
მერაბ თევზაძე (1964)
მერაბ კუკულაძე (1964)
მამუკა ბუცურეიშვილი (1974)

ნახევარმცველები

ალექსანდრე განევი (1974)
რევაზ გვარჯალაძე (1975)
ლაშა ყოლბაია (1972)
ოთარ კორღალიძე (1964)
გურამ ხოსროშვილი (1972)
ზვიად ქიქავა (1973)

თავდამსხმელები

არჩილ გვიანიძე (1974)
დავით გოდერძიშვილი (1973)
ლევან კორღალიძე (1980)

მთავარი მწვრთნელი

გიგლა იმნაძე

## კახეთი

მეკარე

ბადრი ბეწუკელი

მცველები

აკაკი ათუაშვილი (1963)
ზურაბ გოგიაშვილი (1978)
კობა ჭიჭუა (1972)
კახა წიკლაური (1980)
ალექსანდრე ბოჭორიშვილი (1976)
თემურ შალამბერიძე (1975)
იოსებ მამისაშვილი (1980)

ნახევარმცველი

გოდერძი ნონიკაშვილი (1970)
ვეფხია ტარუღაშვილი (1978)
კობა კობაიძე (1980)
იოსებ ამონაშვილი (1980)
ემზარ შონია (1965)
ანდრო კირვალიძე (1980)

თავდამსხმელები

გიორგი ღვინიაშვილი (1970)
ზაზა ჯამიაშვილი (1965)
გიორგი მორდებაძე (1980)

მწვრთნელი მწვრთნელი

ჯემალ მახარაშვილი

## მერანი-91

მეკარეები

რევაზ ნაჭყებია (1972)
გუბაზ დოლიძე (1969)

მცველები

დავით ჯიშკარიანი (1967)
მამუკა ბახტაძე (1971)
მიხეილ მაზიაშვილი (1976)
გელა ქორიძე (1973)

ნახევარმცველები

შალვა ივანიშვილი (1972)
შერმადინ დანელია (1975)
ალექსანდრე გოგობერიშვილი (1977)

თავდამსხმელები

ლადო ჭოლოკავა (1970)
ბადრი კვარაცხელია (1965)
ლევან თოლორდავა (1974)
სულიკო დავითაშვილი (1977)
დავით ტარიელაშვილი (1974)

მთავარი მწვრთნელი

თემურ მახარაძე

## სამგურალი

მეკარეები

ავთანდილ ჯანელიძე (1959)
მამუკა თევზაძე (1968)

მცველები

გივი ჯანელიძე (1972)
ლევან ქობულაძე (1973)
კონსტანტინე თოდაძე (1975)
ანზორ მანაგაძე (1966)
გია ივანეიშვილი (1970)

ნახევარმცველები

კახაბერ ჯანაშია (1973)
კახა ესაიაშვილი (1976)
იმედო გოგელიძე (1969)
ზვიად ფხაკაძე (1977)
გელა ბუნტური (1974)

თავდამსხმელები

ემზარ ხურცილავა (1966)
ჯეირან უშვერიძე (1971)
ლევან ფესტვენიძე (1972)

მთავარი მწვრთნელი

თემურ კოხრეიძე

## საქართველოს 96 97 ჩემპიონატი

### I ტური

1 აგვისტო, ხუთშაბათი

დინამო — სამგურალი □:□
მარგვეთი — მერანი 91 □:□
კოლხეთი — კახეთი □:□
სამტრედია — გურია □:□
მეტალურგი — შევარდენი □:□
ბათუმი — ოდიში □:□
ტორპედო — ივერია □:□
დილა — სიონი □:□

### II ტური

5 აგვისტო, ორშაბათი

სამგურალი — სიონი □:□
ივერია — დილა □:□
ოდიში — ტორპედო □:□
გურია — მეტალურგი □:□
კახეთი — სამტრედია □:□
მერანი 91 — კოლხეთი □:□
დინამო — მარგვეთი
(გადადებულია და არავინ იცის როდის ჩატარდება)

### III ტური

15 აგვისტო, ხუთშაბათი

მარგვეთი — სამგურალი □:□
კოლხეთი — დინამო □:□
სამტრედია — მერანი 91 □:□
მეტალურგი — კახეთი □:□
ბათუმი — გურია □:□
ტორპედო — შევარდენი □:□
დილა — ოდიში □:□
სიონი — ივერია □:□

### IV ტური

24 აგვისტო, შაბათი

მერანი 91 — მეტალურგი □:□

25 აგვისტო, კვირა

სამგურალი — ივერია □:□
ოდიში — სიონი □:□
შევარდენი — დილა □:□
გურია — ტორპედო □:□
დინამო — სამტრედია □:□
მარგვეთი — კოლხეთი □:□

26 აგვისტო, ორშაბათი

კახეთი — ბათუმი □:□

### V ტური

29 აგვისტო, ხუთშაბათი

კოლხეთი — სამგურალი □:□
სამტრედია — მარგვეთი □:□
მეტალურგი — დინამო □:□
ბათუმი — მერანი 91 □:□
ტორპედო — კახეთი □:□
დილა — გურია □:□
სიონი — შევარდენი □:□
ივერია — ოდიში □:□

### VI ტური

5 სექტემბერი, ხუთშაბათი

სამგურალი — ოდიში □:□
გურია — სიონი □:□
კახეთი — დილა □:□
მერანი 91 — ტორპედო □:□
მარგვეთი — მეტალურგი □:□
კოლხეთი — სამტრედია □:□

6 სექტემბერი, პარასკევი

დინამო — ბათუმი □:□

7 სექტემბერი, შაბათი

შევარდენი — ივერია □:□

### VII ტური

15 სექტემბერი, კვირა

სამტრედია — სამგურალი □:□
მეტალურგი — კოლხეთი □:□
ტორპედო — დინამო □:□
დილა — მერანი 91 □:□
სიონი — კახეთი □:□
ივერია — გურია □:□
ოდიში — შევარდენი □:□

16 სექტემბერი, ორშაბათი

ბათუმი — მარგვეთი □:□

### VIII ტური

19 სექტემბერი, ხუთშაბათი

სამგურალი — შევარდენი □:□
გურია — ოდიში □:□
კახეთი — ივერია □:□
დინამო — დილა □:□
სამტრედია — მეტალურგი □:□

20 სექტემბერი, პარასკევი

მერანი 91 — სიონი □:□
მარგვეთი — ტორპედო □:□
კოლხეთი — ბათუმი □:□

### IX ტური

28 სექტემბერი, შაბათი

მეტალურგი — სამგურალი □:□
ტორპედო — კოლხეთი □:□
დილა — მარგვეთი □:□
სიონი — დინამო □:□
ივერია — მერანი 91 □:□
ოდიში — კახეთი □:□
შევარდენი — გურია □:□

29 სექტემბერი, კვირა

ბათუმი — სამტრედია □:□

### X ტური

2 ოქტომბერი, ოთხშაბათი

სამგურალი — გურია □:□
კახეთი — შევარდენი □:□
მარგვეთი — სიონი □:□
კოლხეთი — დილა □:□
სამტრედია — ტორპედო □:□
დინამო — ივერია □:□
მეტალურგი — ბათუმი □:□

3 ოქტომბერი, ხუთშაბათი

მერანი 91 — ოდიში □:□

### XI ტური

13 ოქტომბერი, კვირა

ბათუმი — სამგურალი □:□
ტორპედო — მეტალურგი □:□
დილა — სამტრედია □:□
სიონი — კოლხეთი □:□
ივერია — მარგვეთი □:□
ოდიში — დინამო □:□
შევარდენი — მერანი 91 □:□
გურია — კახეთი □:□

### XII ტური

20 ოქტომბერი, კვირა

მერანი 91 — გურია □:□

21 ოქტომბერი, ორშაბათი

სამგურალი — კახეთი □:□
დინამო — შევარდენი □:□
მარგვეთი — ოდიში □:□
კოლხეთი — ივერია □:□
სამტრედია — სიონი □:□
მეტალურგი — დილა □:□
ბათუმი — ტორპედო □:□

### XIII ტური

25 ოქტომბერი, პარასკევი

ტორპედო — სამგურალი □:□
დილა — ბათუმი □:□
სიონი — მეტალურგი □:□
ივერია — სამტრედია □:□
ოდიში — კოლხეთი □:□
შევარდენი — მარგვეთი □:□
გურია — დინამო □:□
კახეთი — მერანი 91 □:□

ეროვნული ბიბლიოთეკა

### XIV ტური

2 ნოემბერი, შაბათი

სამგურალი — მერანი 91 □:□
დინამო — კახეთი □:□
მარგვეთი — გურია □:□
კოლხეთი — შევარდენი □:□
სამტრედია — ოდიში □:□
მეტალურგი — ივერია □:□
ბათუმი — სიონი □:□
ტორპედო — დილა □:□

### XV ტური

13 ნოემბერი, ოთხშაბათი

შევარდენი — სამტრედია □:□

14 ნოემბერი, ხუთშაბათი

დილა — სამგურალი □:□
სიონი — ტორპედო □:□
ივერია — ბათუმი □:□
ოდიში — მეტალურგი □:□
გურია — კოლხეთი 1913 □:□
კახეთი — მარგვეთი □:□
მერანი 91 — დინამო □:□

### II ტურის შეხვედრა

17 ნოემბერი, კვირა

შევარდენი — ბათუმი □:□

# ასე მომავალს ვერ ვიყიდით!

აჰა, დაგვიდგა კიდევ ერთი ახალი საფეხბურთო წელიწადი. რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ვაი, რომ კარგს ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ გული უნდა მოგიკლათ, ვინძლო, ეს მწარე სათქმელი წამლად მოგვეფონოს. წესივით არის, ნაკლოვან მხარეზე ხმამაღლა, სახალხოდ არაფერი ითქვას. მხოლოდ მაშინ თუ გამოვილებთ ხელს, როცა ეს ნაკლი უზარმაზარ შავ ლაქად იქცევა და ყველას და ყველაფერს გადაფარავს. რატომ მანამდე არ ითქმის ის, რისი აღიარებაც ბოლოს მაინც მოგვიწევს. თუ ერთისთვის უმსგავსოების (თანაც შეგნებულის) ჩადენა შეიძლება, რატომაა აკრძალული სხვისთვის ამ უსაქციელობაზე წერა? ასეთი გზით ისეთ ავადმყოფს ვემსგავსებით, რომელსაც წამლის მიღებასა ეშინია და ამ შიშით ავადმყოფობას კიდევ უფრო ართულებს. მოდით, ვაღიაროთ, რომ უახლოეს წლებში მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრებისთვის ვართ განწირულნი. ამდენად, მაღალი დონის ჩემპიონატი კარგა ხანს ვერ გვექნება. დავრჩეთ ოპტიმისტებად და იმდენი დავიტოვოთ, რომ ოდესმე წამყვან საფეხბურთო ქვეყნებს თუ არ გავუთანაბრდებით, ახლანდელზე მეტად მაინც მივუახლოვდებით. ოღონდ, ეს ჩვენი საფეხბურთო დონის ამაღლების ხარჯზე უნდა მოხდეს და არა დღევანდელ გრანდთა დაჩაჩანაკებით. ნურც იმას იფიქრებთ, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ჩვენზე ძლიერებს არა მოუვათო. არც ეგრეა. მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ და რუსთა ჩემპიონატზე ვთქვათ. ჩვენი ფეხბურთელები ხომ ძალუმად დაეწაფნენ რუსეთის „სიმდიდრის წყაროთ“. თავად რუსებიც არ უშლიან ამას ხელს. მათი მოთამაშეების მასობრივმა გადინებამ ჩემპიონატის დონე დააქვეითა. ამას თავად მშვენივრად ხვდებიან და თუ წინა წლებში დონორებად უკრაინელები ჰყავდათ, ახლა ბალტიისპირელთა თუ კავკასიელთა სისხლის გადასხმასაც არ ერიდებიან. უფრო შორსაც წავიდნენ: ერთ-ორ აფრიკელს თუ ბრაზილიელს ლამის ყველა კლუბმა გაუსინჯა გემო. ამას ჩვენ კარგა ხანს ვერ მოვახერხებთ, ფული არა გვაქვს, მაგრამ ამ უფულობაშიც არსებულ ვითარებასთან გულდამშვიდებით შეგუება არას მოგვცემს, მხოლოდ დაგვაზარალებს. არადა, დღეს ბევრგან გაიგონებთ: ვიდრე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება, ჩვენს ფეხბურთსაც არაფერი ეშველებაო. ეს ასეცაა, მაგრამ თუ ამ აზრს შევეგუეთ და დოგმად მივიღეთ — გულხელი უნდა დავიკრიფოთ და გამოსასწორებლად არაფერი ვაკეთოთო, ფულის გაჩენისას ისეთ ჭაობში აღმოვჩნდებით ჩაფლულნი, იქიდან ამოსვლა ერთიასად გაგვიჭირდება.

ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს „ძველი, ტკბილი დრო“, ვისაც საბჭოური ფეხბურთის გრანდთა შერკინებანი მონატრებია, მათი ნოსტალგია იოლი გასაგებია. გასაგებია და გულთან მისატანიც უნდა გახდეს. სისულელეა, იმ ძველ დროს გავტიროთ. სხვა თუ არაფერი, ახალი დროების სიომ ფიფასა და უეფაში გაგვაწევრიანა და ახლა ჩვენივე თავის გარდა ველარავინ წაგვართმევს. ამან რა მოგვცა? რა და, გერმანიის, ბულგარეთის, უელსის ნაკრებები გვასტუმრა. ცოტაც და, ინგლისი და იტალიაც გვეახლებიან. სულ რომ არ გინდოდეს, მათ შემხედვარეს, მათთან მოთამაშეს გრანდთა მადლი აუცილებლად მოგეცხება, ოღონდ კი მოინდომე და საშინელი წაგებაც გაკვეთილად გამოიყენე. ძველებზე ვამბობდით. ნუ გაგვიკვირდება, თუ მათ ვერ დააჭაშნიკეს ჩვენი ულიმლამო ჩემპიონატი, რომელსაც ბოლო სიკეთე ერთობ უფერული ინტრიგაღა შერჩენია. სხვისი რა ვთქვა, ჩვენი ჩემპიონატის ჩაწყობილ თამაშთა ნახვას შრომაგასწორებით სამუშაოებზე ოფლისღვრა მირჩევნია. რა საზიზღრობაცაა სპორტში კომპრომისი, ეს ყველას გვესმის, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება და ჩვენვე დაგვჭირდება, თვალს ვხუჭავთ. ამიტომაცაა, გარიგებული თამაშებით მოდუნებული ფეხბურთელები არათუ საერთაშორისო, არამედ ისევ შინაურ პრინციპულ მატჩებში საცოდავ დღეში ვარდებიან. ეს წინასწარვეა მოსალოდნელი. ამას წინათ ერთ-ერთი კლუბის მეპატრონემ დაიჩივლა, ჩემს გუნდს თამაში მე უნდა ჩავუწყო, მსაჯი მე უნდა ვუყიდო, პენალტი მე უნდა დავუნიშნო და გოლიც მე უნდა გავიტანოო. გაგიჟდები კაცი — ამის მერე ხელფასსა და პრემიასაც მე მთხოვენო. ახლა ასეთი გუნდი რომ საპრიზო ადგილს დაიკავებს და ევროთასზე გავა, განა იქ რაიმე სასიკეთოს იზამს? რა აზრი აქვს ასეთი კლუბისთვის ევროტურნირებში თამაშს, ეს ხომ მისთვის სასიკვდილო განაჩენია. თავად განსაჯეთ: თამაშს ვერ მოიგებს და უეფასაგან წილად არაფერი ერგება, სტუმარ-მასპინძლობის ნამუსის მოსაწმენდად გაღებული თანხა კი წელში გაწყვეტს. ჰოდა, რა ჩარაა 15 გასვლითი თამაშიდან, სულ მცირე, 10-ის ყიდვა. განა არ სჯობს, ამ საქმეში დახარჯული ფული ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარდეს? რა თქმა უნდა, სჯობს, მაგრამ დათესილის ნაყოფის მოწევას დიდი დრო სჭირდება, ცდა კი ბევრს არ შეუძლია. არადა, ვინც ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხს ამჯობინებს, სულსწრაფობისთვის დაისჯება. ის კვერცხი ხშირ შემთხვევაში ლაყე აღმოჩნდება, ხელში შემოეფშვნება და დახარჯული ფულიც წყალში გადაეყრება. ცდილობს ვინმემ საწინააღმდეგოს გაკეთებას? ცოტანი, და თანაც მხოლოდ თბილისში. სხვაგან კი, სხვაგან რა ხდება? რა და ბავშვებიც ისევე იწამლებიან, როგორც უფროსები. აბა, სტუმართა გუნდს პირველივე წუთზე 5-მეტრიან თამაშგარეს რომ გაუტარებ და გოლს გაუტან, აქაოდა, მაგათ ჩვენი თამაში იქვე, ფურნედან მოყვანილ ხალხს ამსაჯესო, ეს საქმეა?! იმ ბავშვს რისი ხალისი შერჩეს ამის მერე. ამ დროს მოგებულიც არანაკლებ ზარალდება, მას ვიღაცის დახმარების, შეღავათის იმედი უჩნდება და ეს მასზევე მოქმედებს ცუდად. ბავშვებს აღარ უხარიათ ბურთის გორება. ფეხბურთი აღარ არის ხალხის სიხარული. იგი ოდენ კონკრეტულ პიროვნებათა ბრძოლის ველად იქცა. მავანს გუნდი მხოლოდ ფულის საშოვნელად უნდა, ვიღაცას მხოლოდ დეპუტატის სკამზე ასაძრომად. ეს სხვაგანაც თითქმის ასეა: ფეხბურთში ჩადებული აქციები ძლიერ პოლიტიკურ დივიდენდებად იქცევა ხოლმე, მაგრამ ის ხალხი გაცილებით მეტს (რამდენიც საჭიროა, უკლებლივ იმდენს) აკეთებს ფეხბურთისთვის, ვიდრე ნებისმიერი ჩვენებური კლუბის მეპატრონე. სხვა შემთხვევაში მისი კრახი სპორტულ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე გარანტირებული იქნება. ასე კი მეტადაც ხეირობს. ჩვენში კი რა ხდება? მოტყუება, გამოძალვა, უპასუხისმგებლობა ზეიმობს. ახალი სეზონი რომ დაიწყება და ამა თუ იმ ფეხბურთელის გადაბირებას სხვა გუნდები მოინდომებენ, მოთამაშენი მაშინღა აღმოაჩენენ ხოლმე, რომ მათი კონტრაქტი უფრო გრძელვადიანი ყოფილა, ვიდრე ეგონათ. ამის მაგალითები წელს უხვადაა: ერთსადაიმავე კაცს ფედერაციაში დასამტკიცებლად მიტანილ ორ განაცხადში არცთუ იშვიათად ნახავთ. ძველი გუნდი მოთამაშის სანაცვლოდ იმხელა თანხას ითხოვს, რამდენიც თავის დროზე არათუ მის შესაძენად, არამედ მთელი გუნდის შესანახად არ დაუხარჯავს. პრობლემა არ არის: ფეხბურთელმა უნდა ჩაიხედოს და ნახოს, როგორ კონტრაქტს აწერს ხელს, მაგრამ ხშირად მათაც „ეხალისებათ“ თავის მოტყუება. გრძნობენ, არც ახალი გუნდი გადაუხდის შეპირებულს, მაგრამ ძველი რომ არც პირდება? ამ დროს გამოსავალი ერთია: სანუკვარი ფეხბურთელის დასაუფლებლად კლუბებმა ნამუსზე ხელი არ უნდა აიღონ. საკონტრაქტო თანხის თამასები იქამდე არ უნდა ასწიონ, მერე თავადაც რომ ვერ გადაახტნენ. ეგეც არის, ფეხბურთელს ისე უნდა მოექცნენ, როგორც ადამიანს. უნდა შეიგნონ, რომ ის ნივთი ან საქონელი არ არის, ვინმეს ორ კომპლექტ ფორმაში თუ ტონობით შაქარში რომ გაუცვალონ.

მძიმე სურათი დავხატეთ. შესაძლოა, ისეთიც ვერა, რეალურს რომ ზუსტად ასახავდეს.

დღეს ახალი, მერვე ჩემპიონატი იწყება. უკეთეს რამეს არც ის გვიქადის. თუ გვსურს, რომ ჩვენი ჩემპიონატი საინტერესო გახდეს, დონეც ამაღლდეს, გუნდებმა უნდა დაივიწყონ ყველა ის ხერხი, აკრძალული ილეთი, რომლითაც აქამდე ქულებს აგროვებდნენ. ახალ სეზონს სუფთა ხელებით უნდა შეხვდნენ და სუფთადვე ჩაათავონ. ძნელია ამის გაკეთება. რთულია ყველანაირი შენების პროცესი, მაგრამ როცა იქნება, ამ სიმძიმის გადატანა მაინც მათ მხრებზე მოუწევთ. ჩვენ სამხრეთელები, არცთუ მოწესრიგებული, მაგრამ ტემპერამენტიანი, გზნებიანი ხალხი ვართ. ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს, ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაშიო. ამ ნათქვამმა უნდა წაგვაქეზოს სიმძიმის ასაწევად. უნდა ავაშენოთ ნამდვილი, მკვიდრი სახლი, თუნდაც ამ შენებით ვიგვემოთ. რაღაც დროებითი ხუხულის სილამაზე თვალს ნუ მოგვჭრის და ნუ დაგვამშვიდებს, თორემ უდროო დროს თავზე ჩამოგვექცევა. ბზარი ხომ უკვე გაჩნდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## ნიჟნი-კამსკი რა შუაშია?

„სამტრედიის“ ყოფილი ნახევარმცველი გიორგი დარასელია ერთი ხანობა მოსკოვის „ლოკომოტივში“ ვარჯიშობდა და მისი იქ დარჩენა თითქოს გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ახლახანს შევიტყვეთ, რომ „ძუკუ“ რუსეთიდან პოლონეთს გამგზავრებულა და ამჟამად იქაურ ჩემპიონ „ლეგიაშია“. საქმეში გასარკვევად ახლობელ-ნათესავებსაც დავეკითხეთ, ამათგან ყველაზე მეტი გიორგის უახლოესმა ნათესავმა, ვახტანგ ქირიამ იცოდა:

— გიორგი „ლოკომოტივში“ კი ვარჯიშობდა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ აქედან „ლეგიაში“ მოხვედრა სურდა, რადგან პოლონეთის ჩემპიონს მისი გადაბირება განეზრახა. მისი ტრანსფერისას რამდენიმე პრობლემა წამოიჭრა. პირველი ის, რომ სამტრედიელები მის განთავისუფლებას ჯერ არ აპირებდნენ, თუმცა ეს პრობლემა მალე მოგვარდება: დარასელიას კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის მხოლოდ ხუთი პროცენტი გადაუხადეს, ამით კონტრაქტი დაირღვა, ასეთ შემთხვევაში კი გიორგის უფლება აქვს, გუნდიდან უპრობლემოდ წამოვიდეს.

მეორე და მთავარი დაბრკოლება ეს გახლავთ: დარასელია „ლეგიაში“ რომ გადავიდეს, საამისოდ პოლონელებს გიორგიზე სატრანსფერო მოთხოვნა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის სახელზე ფაქსით უნდა გამოეგზავნათ. ფედერაციაში ეს ფაქსი კი მოვიდა, მაგრამ თათარსტანის ქალაქ ნიჟნი კამსკიდან. საიდან და როგორ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია — გიორგის „ლეგიაში“ გადასვლაში ნიჟნი კამსკის გუნდის ხელმძღვანელობა ჩაერია და, როგორც ჩანს, ხელის მოთბობაც განიზრახა. ამის კატეგორიული წინააღმდეგია ნოდარ ახალკაცი. ამის გამო იქ სატრანსფერო ცნობა დარასელიას გუნდიდან განთავისუფლების შესახებ არ გაუგზავნიათ. „სამტრედიასთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ გიორგი თავისუფალი აგენტია და მის ტრანსფერში ვიღაცამ ფული აკეთოს, ეს ჩვენთვის მიუღებელია. წეღანაც ვთქვი, „სამტრედიასთან“ პრობლემა მალე მოიხსნება და გიორგი თავად აირჩევს გუნდს ნიჟნიკამსკელების „დახმარების“ გარეშე.

ისე, როგორც ვიცი, „ლეგიას“ შემდეგ გიორგი, შესაძლოა, საფრანგეთში გადავიდეს. „ლეგიას“ ერთ-ერთი საკონტროლო შეხვედრას ოთხი ფრანგი სელექციონერი დასწრებია. ისინი პირველი დივიზიონის გუნდებს წარმოადგენდნენ და გიორგი ძლიერ მოსწონებიათ. მაგრამ, ჯერ მისი „ლეგიაში“ გადასვლაა გასარკვევი, მერე კი ალბათ ბევრი რამ გადაწყდება.

სარბიელი

# სპორტული ლატარეა "CROCO"

## ოლიმპიური თამაშები.

კალათბურთი. ნახევარფინალები

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრალია — აშშ | 30,0 | 30,0 | 1,01 |
| ლიტვა — იუგოსლავია | 2,0 | 9,0 | 1,5 |

## რუსეთის ჩემპიონატი. გადმოტანილი მატჩები

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟემჩუჟინა — კამაზი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ტექსტილშჩიკი — როტორი | 5,0 | 3,2 | 1,2 |
| ურალმაში — როსტსელმაში | 1,8 | 2,7 | 2,7 |

## გერმანიის მეორე ლიგა. პირველი ტური

3 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ცვიკაუ — მანჰაიმი | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| ლუბეკი — აინტრახტი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ოლდენბურგი — მეპენი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| კაიზერსლაუტერნი — უნტერჰაჰინგი | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| როტვაისი — შტუტგარტერ კიკერსი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| გიუტერშლოჰი — კარლ ცაისი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ლაიფციგი — ურდინგენი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ჰერტა — მაინცი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ფორტუნა (კიოლნი)— ვოლფსბურგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

# CROCO-2

ტირაჟი №48

## რუსეთი და გერმანია

1. ჟემჩუჟინა — კამაზი
2. ტექსტილშჩიკი — როტორი
3. ურალმაში — როსტსელმაში
4. ცვიკაუ — მანჰაიმი
5. ლუბეკი — აინტრახტი
6. ოლდენბურგი — მეპენი
7. როტ-ვაისი — კიკერსი
8. ლაიფციგი — ურდინგენი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ძოძუაშვილმა ფუნქცია შეიცვალა

დღეს მერვე ეროვნული ჩემპიონატი იწყება და ზოგიერთი რამ ჯერაც გაურკვეველია რუსთავის „მეტალურგში". დარჩებიან თუ არა გუნდში რევაზ ძოძუაშვილი და სპონსორები — აი, მთავარი კითხვა, რომელიც ყველას აწუხებს. როგორც გაირკვა, არც ერთი და არც მეორენი გუნდის მიტოვებას არ აპირებენ, თუმცა, ძოძუაშვილი ფუნქციაშეცვლილი მოევლინება „მეტალურგს" — ამიერიდან გუნდის კონსულტანტი იქნება. მის ადგილს კი დაიკავებს „აზოტის" მთავარი მწვრთნელი მურმან გოგოლაძე, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრებს რამდენიმე წევრის — ცხადაძის, ჯამარაულის, კილასონიას და ლობჟანიძის აღმზრდელია.



რეზო ძოძუაშვილს და „მეტალურგის" ერთ-ერთ სპონსორს პაატა ქანდაურაშვილს მაშინ შევხვდი, როცა ისინი გუნდის სეზონისწინა პრობლემებზე მსჯელობდნენ. ჯერ „მიხიჩა" მესაუბრა წმინდა საფეხბურთო საკითხებზე:

— ახალ სეზონს განახლებული შემადგენლობით დავიწყებთ. გუნდის ბირთვს „აზოტისა" და „მეტალურგის" დარჩენილი ბიჭები შეადგენენ. ჩვენთან ამჟამად ბათუმიდან წამოსული ზურაბ არჩვაძეც ვარჯიშობს, თუმცა მისი საკითხი ჯერ გაურკვეველია. რაც შეეხება დანაკლისს — ბოლნისის „სიონს" ერთი წლით მურად ყაველაშვილი და ნორმენ ტარტარაშვილი ვათხოვეთ. „მერანში" გადავიდა მეკარე გუბაზ დოლიძე, „გურიაში" კი — მერაბ თევზაძე. გაურკვეველია გელა არჩვაძის საქმე.

თამაზ პერტიაც ერთი წელი სხვაგან ითამაშებს, მაგრამ რომელ გუნდში — ჯერ არ გადაუწყვეტია. რაც შეეხებათ ისრაელში გასასინჯად გამგზავრებულ რეხვიაშვილსა და ზირაქიშვილს, ისინი „მეტალურგში" ითამაშებენ, დათო ჩალაძე ბუნდესლიგის „მიუნხენ-1860"-ში მიდის გასასინჯად. თუ იქ არ დაიტოვებენ, რეგიონალურ ლიგაში ითამაშებს.

სხვათა შორის, ჩვენმა ბიჭებმა ისრაელში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს, ჩვენი ჩასვლის მიზანი იქაურ გუნდებთან ურთიერთობის დამყარებაც იყო. ისეთი ადამიანიც გამოჩნდა, ჩვენი ფეხბურთელებით რომ დაინტერესდა. ბიჭები სულ სამმა გუნდმა გასინჯა — როგორც ლიდერებმა, ასევე აუტსაიდერებმა. თავიდან ისინი ქალაქ ბეტჩანის გუნდში უნდა გაესინჯათ, მაგრამ, ჩვენდა ბედად, სწორედ იმ დროს გუნდში რაღაც კონფლიქტი მოხდა. ის, ვინც ისრაელში მიგვიწვია, დაგვეხმარა, ამ სამ გუნდს დავკავშირებოდით. მას შემდეგ პასუხს ველით. ამასობაში ჩალაძით გერმანელებიც დაინტერესდნენ, თუმცა მისი საკითხიც არ არის ჯერ გარკვეული. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კაცი გვაკლდება, მაინც მჯერა, რომ ახალ სეზონში შარშანდელზე სუსტი გუნდი არ გვეყოლება.

**— როგორ, ფეხბურთელები მიდიან, თქვენ კი ამბობთ, რომ ეს გუნდს არ დაემჩნევა?**

— იცით, დღეს საქართველოში ყველა ფეხბურთელი უცხოეთში წასვლას ფიქრობს. ეს საკითხი ადრე თუ გვიან მაინც ჩვენი გადასაწყვეტი იქნებოდა და ამიტომ წინასწარი თადარიგიც დავიჭირეთ — მთელი შარშანდელი პირველობის მეორე ნახევარში „მეტალურგთან" ერთად „აზოტის" ბიჭები ვარჯიშობდნენ. ჩემი აზრით, ისინი I ჯგუფისთვის უკვე მზად არიან.

ისე გულახდილად რომ ვთქვა, გული მწყდება — ფეხბურთელებს ვზრდი და შემდეგ მათგან გუნდს ვერ ვქმნი. რას ვიზამ — ცხოვრებამ ასე მოიტანა. რომელ ფეხბურთელს დაუშლი, ფინანსურად გამართულ და, საერთოდ, ყველანაირად ჩვენზე უკეთეს გუნდში წავიდეს? ბავშვებს ხომ არ დავაკონსერვებთ? „დინამო" რომ კაცს მიიწვევს, როგორ უნდა ვუთხრა უარი. მითუმეტეს, როცა ჩვენ გვიჭირდა, „დინამოს" ხელმძღვანელობისგან სითბოსა და ყურადღების მეტი არაფერი გვიგრძვნია.

**— თქვენც ნახეთ, ჩვენი გუნდები, „დინამოს" გარდა, რა სამარცხვინოდ გამოვიდნენ ევროპის თასებზე. როგორ ფიქრობთ, „მეტალურგს" შანსი რომ ჰქონოდა, უკეთ ითამაშებდა?**

— მათზე უარესად რომ არ გამოვიდოდით, ცხადია. ბევრჯერ მითქვამს — სანამ საქართველოში პატიოსნება და წესრიგი არ იქნება, ევროპაში ულირსები გავლენ, ისინი, ვინც თამაშობენ კი არა, ბინძურ საქმეებს აკვარახჭინებენ. ამ ყიდვა-გაყიდვაში ზოგიერთი პრეზიდენტი და მწვრთნელი ვერც აფასებს საკუთარი გუნდის რეალურ ძალას. გამოჩნდა კიდეც, ვინ ვინ არის. ჩვენ, ვიმეორებ, ასე სამარცხვინოდ არ ვითამაშებდით.

**— ისე, დამეთანხმებით, შარშან არც „მეტალურგი" ბრწყინავდა. სხვის რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთელები ფიზიკურად ცუდად გამოიყურებოდნენ და ორივე ტაიმს ვერც უძლებდნენ.**

— გეთანხმებით, მაგრამ ნორმალური პირობები სწორედ მაშინ არ გვქონდა, როცა წარმატებისთვის საფუძველი უნდა ჩაგვეყარა — სეზონის წინ. მოედანზეც იმასვე ვიტყვი, რასაც პირობებზე ვამბობ. საოცარია, რატომ მოელოდნენ ჩემგან ყველა პრობლემის მოგვარებას — რა, ძოძუაშვილს უნდა დაეჭირა ხელში „შლანგი" და მინდორი მოერწყა? კიდევ ბევრს მივაღწიეთ ასეთი „ყურადღების" პირობებში. კიდევ კარგი, მეორე წრეში მაინც გამოგვიჩნდნენ სპონსორები.

**— ახალ სეზონშიც, ალბათ, იგივე პირობები გექნებათ. ვაითუ შარშანდელი განმეორდეს...**

— რატომ? ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი მშვენივრად მოემზადა ისრაელში, მათი იმედი ნამდვილად მაქვს. ამას, რა თქმა უნდა, მთლიანად გუნდზე ვერ ვიტყვი, მაგრამ არის გარკვეული პროგრამა, რომლის მიხედვითაც ევროპულ გუნდებთან ვაპირებთ დაკავშირებას. ეს თანამშრომლობა კი გუნდს სასიკეთოდ წაადგება.

**— წელს თუ ფეხბურთელები „აზოტიდან" „მეტალურგში" გადმოვლენ, II ჯგუფში ადგილს ხომ დაკარგავთ?**

— არა. ფარმ-კლუბი მაინც გვეყოლება. ჩვენი სპონსორი ორივე გუნდს მიხედავს. ალბათ, მომავალ წელსაც წავა ჩვენგან სამი-ოთხი ფეხბურთელი და მათ შემცვლელები ხომ უნდა მოვუძებნოთ? მოკლედ, ეს კონვეირი კვლავაც იმუშავებს.

– რა დამავიწყებს რუსთაველთა სპონსორის, პაატა ქანდაურაშვილის გამწარებულ სახეს, როდესაც ბოლო ტურის შეხვედრაში ზვიად ენდელაძემ თავისი ოქროს გოლით „მეტალურგს" უეფას საგზური გამოგლიჯა ხელიდან. იმ წუთში ისიც კი გავიფიქრე, ალბათ, ფეხბურთში მისვლას ნანობს-მეთქი. როდესაც ხმები გავარდა, „მეტალურგი" იშლებაო, მეგონა, რომ ქანდაურაშვილმაც ჩაიქნია ხელი, მაგრამ, საბედნიეროდ, შევმცდარვარ.

— ეს არასწორი მიფიქრია, მაშინაც კი, ენდელაძემ გოლი რომ გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ წაგება მართლაც ძალიან განვიცადე. როგორი საქმეა, ამდენი შრომა რომ წყალში გეყრება? თანაც, გუნდიდან წასვლა მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. აქციონერულ საზოგადოება „გორდაში" ჩემს გარდა კიდევ სამი კაცია და ჩვენი მიზანი „მეტალურგის" ძლიერ გუნდად ჩამოყალიბება გახლავთ. რაც შეეხება მეტალურგიულ ქარხანას, იგი განზე დგას და არანაირ დახმარებას არ გვიწევს. დაპირება კი ქარხნის ხელმძღვანელებისგან ბევრი გვახსოვს.

ჩვენ გვაქვს სამოქმედო პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ძოძუაშვილის დახმარებით თანდათან შევუდგებით. არ შემიძლია არ აღვნიშნო ქალაქის მერის მერაბ ტყეშელაშვილის თანადგომა, რომელიც, მიუხედავად პრობლემებისა, მაინც ცდილობს მხარში ამოგვიდგეს. ჩანს, რომ ამ ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და სხვების მსგავსად ჩვენს მოტყუებას არ კადრულობს. გვპირდება, რომ მცირედით მაინც დაგვეხმარება. სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს კი ფეხბურთი არ აინტერესებთ. პირველ წრეს ასე ჩავამთავრებთ — გვეცოდინება, რეალურად რა სახსრები გაგვაჩნია. გაუმართლებლად მიმაჩნია ის ფაციფუცი, გუნდებში სეზონის წინ რომ შეინიშნება ხოლმე — იღებენ ვალებს, ფეხბურთელებს ზღაპრულ თანხებს ჰპირდებიან და ბოლოს ვერაფერს უსრულებენ. ჩვენ ამის უფლებას თავს არ მივცემთ. გუნდში გვეყოლება ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც დიდ თანხებს არ ითხოვენ. არადა, არა მგონია, ვინმეზე ნაკლები ფეხბურთელები იყვნენ. მარტო დაპირებებით სახელიან ფეხბურთელს ვერ მოვიყვან და ვერ მოვატყუებ.



**— ევროპაში გუნდები ფულს მაისურზე ამა თუ იმ ფირმის რეკლამის გაკეთებითაც შოულობენ. მესმის, რომ დღეს ქართული გუნდების მიერ გაკეთებული რეკლამით მაინცდამაინც ვერავინ იხეირებს, მაგრამ იქნებ ესეც გაცადოთ?**

— ამასაც ჩავუყარეთ საფუძველი — გერმანული ტელეკომპანია DSF-თან ვთანამშრომლობთ. ეს, ბუნებრივია, გარკვეულ თანხებს დაგვაზოგინებს, მაგრამ დიდად მაინც ვერ შეგვეწევა. ამ გზით „მეტალურგის" სალაროს შევსებას ვცდილობთ, მაგრამ საფეხბურთო კლუბი, პირველ რიგში, პროფესიულად უნდა იყოს ძლიერი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უცხოურმა ფირმებმა გუნდში ფული დააბანდონ. ახალი სეზონიდან აბსოლუტურად ყველა მოთამაშეს ხუთწლიან კონტრაქტს გავუფორმებთ. აბა, როგორი საქმეა — ძოძუაშვილის გაზრდილი ფეხბურთელი მოტყუებით სხვებს მიჰყავთ. ამას ბოლო უნდა მოეღოს. საერთოდ, საქართველოში ცუდი რაღაც-რაღაცეები დამკვიდრდა. ჩვენ, მაგალითად, არ ვიკადრებთ ფეხბურთელთან პრეზიდენტის გვერდის ავლით მოლაპარაკებას, რაც ბევრმა გაგვიკეთა. არადა, სწორედ ფეხბურთელთა ტრანსფერია გუნდის შემოსავლის ძირითადი წყარო. უფრო სწორად, უნდა იყოს.

მართალი რომ გითხრათ, არ მეგონა, ასე ბინძური თუ იყო საფეხბურთო სამყარო, თორემ ამ საქმეს ხელს ნამდვილად არ მოვკიდებდი. სფფ-ის ახალ დებულებაში ზოგიერთი ისეთი მუხლია, პირდაპირ გაკვირვებას იწვევს. როგორ შეიძლება გუნდს ულირსი საქციელისთვის ქულები წაართვა? სულ თავისუფლად შეიძლება დაინტერესებულმა კაცმა პროვოკაცია მოგიწყოს. რა უნდა ამის გაკეთებას? დასვამ კონკურენტის სტადიონზე ხუთ-ექვს არაკაცს, ასროლინებ მოედანზე ბოთლებს და მორჩა — მეტოქეს ქულებს დააკარგვინებ. კარგია, არა? ეს ჩვენი ჩემპიონატის პრესტიჟის ასამაღლებლად კი მოიფიქრეს, მაგრამ, ვშიშობ, პირიქით არ მოხდეს.

– ცოტა თემას კი გადავუხვიე, მაგრამ ამის უთქმელობაც არ იქნებოდა.

იცით, რომ ძლიერ გუნდს მტკიცე მატერიალურ-ფინანსური ბაზის გარეშე ვერ შექმნი. სწორედ ეს არის ჩემი მიზანი — გუნდს ისეთი საფუძველი შევუქმნა, რომ ადვილად ხელწამოსაკრავი არ იყოს. ბაზის მშენებლობა გუნდის შემოსავლებიდან უნდა დაფინანსდეს, რაც დღესდღეობით გამორიცხულია. როდესაც ქვეყანა ფეხზე დადგება, მტკიცე საფუძვლის შექმნაც მაშინ იქნება შესაძლებელი. დღეს ჩვენ გუნდის გაძლიერების გზას გონივრული სისტემის ჩამოყალიბებაში და ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაში ვხედავთ.

მერაბ მამულაშვილი

## დაიბრუნებს ხრისტო ხრისტოს?

ბულგარეთის ნაკრების ახალი მწვრთნელია ხრისტო ბონევი, რომელმაც ფეხბურთელობისას ნაკრების 96 თამაშში 47 გოლი გაიტანა, აქედან 42-ჯერ გუნდს უკაპიტნა. შემდეგ ბონევმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი. დაიწყო პლოვდივის „ლოკომოტივში", შემდეგ საბერძნეთს მიაშურა და „პანათინაიკოსს", „ლარისას" და „იონიკოსს" უხელმძღვანელა, სულ ბოლოს კი კვიპროსში, ნიქოზიის „აპოელში" მუშაობდა. შეგახსენებთ, რომ მან, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე შეცვალა ევროპის ჩემპიონატზე ჩავარდნისთვის მოხსნილი დიმიტარ პენევი, რომელმაც ორი წლის წინ, ბულგარული ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს შედეგს მიაღწია — ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

ახალდანიშნული მწვრთნელის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, ალბათ, ბულგარეთის უპირველესი ვარსკვლავის ხრისტო სტოიჩკოვის შემორიგება იქნება. როგორც ცნობილია, სტოიჩკოვმა პენევს დაუჭირა მხარი და განაცხადა, თუ მას ნაკრების მწვრთნელად არ დააბრუნებთ, მე მაგ გუნდში აღარ ვითამაშებო.

## ნავაჭრი

მაშ ასე, „ნიუკასლ იუნაიტედმა" შეუძლებელი შეძლო და „ბლექბერნისგან" 15 მილიონ გირვანქად ალან შირერი იყიდა. ამ შენაძენმა, „ნიუკასლის" მწვრთნელის კევინ კიგანის მიერ ვარსკვლავების ყიდვაში დახარჯული ფული 50 მილიონამდე აიყვანა, რაც დოლარებში კიდევ უფრო შთამბეჭდავად ჟღერს — 78 მილიონი. ვერ გეტყვით, შექმნა თუ არა საბოლოოდ კიგანმა თავისი „ოცნების გუნდი". სამაგიეროდ გთავაზობთ მისი ყველაზე ძვირფასი, 12 შენაძენის სიას:

ალან შირერი — 15 მილიონი
ფაუსტინო ასპრილია — 7,5 მილიონი
ლეს ფერდინანდი — 6 მილიონი
უორენ ბარტონი — 4 მილიონი
დევიდ ბეტი — 3,75 მილიონი
დარენ პიკოკი — 2,7 მილიონი
ფილიპ ალბერი — 2,65 მილიონი
დავიდ ჟინოლა — 2,5 მილიონი
პოლ კიტსონი — 2,25 მილიონი
შაკა ჰისლოპი — 1,5 მილიონი
პიტერ ბერდსლი — 1,4 მილიონი
კეით გილესპი — 1 მილიონი

ლიგის უძვირეს ტრანსფერთა ჩამონათვალი (არა მხოლოდ წლევანდელი) კი ასეთია:

ალან შირერი (ბლექბერნიდან ნიუკასლში) 15 მილიონი
სტენ კოლიმორი (ნოტინგემიდან ლივერპულში) — 8,5 მილიონი
დენის ბერხკამპი (ინტერიდან არსენალში) — 7,5 მილიონი
ფაუსტინო ასპრილია (პარმიდან ნიუკასლში) — 7,5 მილიონი
ფაბრიციო რავანელი (იუვენტუსიდან მიდლსბროში) — 7 მილიონი
ენდი კოული (ნიუკასლიდან მანჩესტერ იუნაიტედში) — 7 მილიონი
ლეს ფერდინანდი (ქუინზ პარკიდან ნიუკასლში) — 6 მილიონი

## „იუვემ" წააგო

შვეიცარიაში გაიმართა ოთხთა ტურნირი „იუვენტუსის" „ბაიერნის" და ორი ადგილობრივი გუნდის „ციურიხისა" და „გრასჰოპერის" მონაწილეობით. ნახევარფინალებში სტუმრები ერთმანეთს შეხვდნენ, მასპინძლები კი ერთმანეთს. ჩემპიონთა თასის მფლობელმა „იუვენტუსმა" „ბაიერნთან" შეხვედრის მე-14 წუთზე მარსელ ვიტეჩეკისგან გოლი გაუშვა, მაგრამ 29-ზე დელ პიეროსა და 81-ზე ამორუზოს გოლებით ფინალში გავიდა. იქ მისი მეტოქე იყო „ციურიხი". ანგარიში მე-19 წუთზე შვეიცარიული გუნდის აფრიკელმა ფორვარდმა ნონდამ გახსნა. 23-ზე კასტილიომ ლამაზი თაურით სხვაობა ორამდე გაზარდა. საპასუხოდ კი იტალიელებმა მხოლოდ 38-ე წუთზე ბოკშიჩის გოლი იკმარეს და წააგეს.

## ჟორჟე გაუშვეს

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელი არტურ ჟორჟე განთავისუფლებულია თანამდებობიდან. წესით მას 1998 წლამდე უნდა ემუშავა ამ პოსტზე, მაგრამ ყველაფერი შვიდ თვეში დასრულდა. როგორც იუწყებიან, მიზეზი პორტუგალიელ მწვრთნელსა და შვეიცარიელ ფეხბურთელთა ცუდი ურთიერთდამოკიდებულება ყოფილა. ამის შესახებ იქაურმა გაზეთებმა ევროპის ჩემპიონატის დღეებში ბევრი წერეს. ფეხბურთის ფედერაციასთან დაახლოებულმა ვიღაც პირმა, რომელმაც თავის გამხელა არ ისურვა, საინფორმაციო სააგენტო SDA-ს განუცხადა: „ჟორჟესა და შვეიცარიელ ფეხბურთელთა თუ ფუნქციონერთა შორის კარგი ურთიერთობა არასდროს ყოფილა. გუნდში ერთ დღესაც არ შექმნილა სამუშაო კლიმატი. მწვრთნელს აშკარად არ შეეძლო ადამიანებთან ურთიერთობა".

ახლა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია ჟორჟეს შემცვლელს ეძებს.

## შირერი სინგაპურში ჩავიდა

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ალან შირერი სამშაბათს სინგაპურში ჩავიდა, სადაც მისი ახალი გუნდი „ნიუკასლ იუნაიტედი" ჩემპიონატისწინა ტურნეს ატარებს. აეროპორტ „ჩანგიში", ბარგის ცდისას ფეხბურთელი მხიარული ჩანდა, სიამოვნებით მისცა ავტოგრაფი იქაურ პოლიციელს, რომელმაც იცნო და მგზავრებსაც გაეხუმრა. თუმცა, საბაჟო ზონიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც აურაცხელი ტელე და საგაზეთო ჟურნალისტი შემოეხვია, შირერმა ბევრი საუბრისგან თავი შეიკავა, თქვა, რომ პრესას საგანგებოდ მომავალ კვირას შეხვდება, ხოლო კითხვაზე — თუ უხარია მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნება (ალან შირერი 1970 წლის 13 აგვისტოს ნიუკასლში დაიბადა) — მან მოკლედ უპასუხა: „კმაყოფილი ვარ. გმადლობთ".

ნიუკასლელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა კი უარჰყო ხმები, რომ შირერის შეძენას ლეს ფერდინანდის გაყიდვა მოჰყვება.

— ხაზს ვუსვამ, შირერი იმიტომ შევიძინე, ფერდინანდის მხარდამხარ რომ ითამაშოს. მწამს, ასეთი ძალის თავდასხმა სხვას არავის ეყოლება — თქვა მან.

თუ ასეა, მაშ შესაძლოა კიგანმა „პარმასგან" 7,5 მილიონ გირვანქად ნაყიდი კოლუმბიელი ფორვარდი ფაუსტინო ასპრილია გაასხვისოსო, ამბობენ ინგლისელი მიმომხილველები.

შირერი სინგაპურში „ნიუკასლის" დირექტორმა რასელ ჯონსმა ჩაიყვანა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომდევნო სამშაბათს ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკზე" მოეწყობა ახალშეძენილი ვარსკვლავის პრეზენტაცია და ფართო პრეს-კონფერენციაც გაიმართება. რაც შეეხება კითხვას, შედგება თუ არა ახალ კლუბში შირერის დებიუტი დღეს, სინგაპურში, ჯონსმა უპასუხა — ამას მისტერ კიგანი გადაწყვეტსო. ამავე კითხვაზე უფრო საინტერესო კლუბის სხვა მოხელის პასუხი გახლდათ: „თქვენ რა, ხუმრობთ?"

შემდეგ შირერი თეთრ მერსედესში ჩასვეს და წაიყვანეს.

## ვის სჭირდება ინტერტოტოს თასი?

ინტერტოტოს თასი ალბათ იმ 12 გუნდს სჭირდება, ბრძოლას რომ აგრძელებს და საბოლოოდ საუკეთესო სამეულში გასვლის იმედი აქვს, რათა ამით უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის საგზური მოიპოვოს. ამ მარაქაში სამი რუსული გუნდია.

„კამაზმა" ფოთის „კოლხეთის" ნაცნობს, ფრანგულ „გინგამს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო. რუსეთში ჩასასვლელად ფრანგებს დიდი სავიზო ხლაფორთი მოუხდათ. თურმე „გინგამის" ორ ფეხბურთელს პოლონელ იოზვიაკს და რუმინელ მიხალის ვიზები ბოლო წუთამდე არ მისცეს, ხოლო ორ პილოტს, გუნდი საფრანგეთიდან რომ ჩაიყვანეს, მოსკოვის აეროპორტშილა აღირსეს ქვეყანაში შესვლის უფლება. საპასუხო მატჩისთვის იგივე პრობლემის წინაშე იდგა „კამაზიც".

„ურალმაშმა" „სილკებორგთან" 1:2 წააგო. დანიელმა მწვრთნელმა პრებენ ელკიაერმა მოგებას უძნელესი უწოდა — ვეჭვობდი ანგარიშის შენარჩუნებასო.

„როტორმა" სტუმრად ფრე ითამაშა „ლინცერთან" — 2:2, თან პირველი ტაიმის შემდეგ 2:1-ს იგებდა. რუსთა მწვრთნელი ბორის სტუკალოვი მსაჯობით იყო აღშფოთებული.

„სტანდარდმა" მოუგო „ნანტს" — 2:1. „ნანტს" არ ჰყავდა ორი ზანგი ნდორამი და მაკელელე.

ლიერსი — კარლსრუე 2:3, სეგესტა — ერებრუ 4:0

ეს შეხვედრები შაბათს გაიმართა. იმის გამო, რომ მათი შედეგები ერთმა საინფორმაციო სააგენტომაც არ გაავრცელა (მსოფლიო პრესას ინტერტოტოს თასი, როგორც ჩანს, არაფრად სჭირდება), ავერ ხუთშაბათამდე ვერ გაცნობეთ. კიდევ კარგი, სამი რუსული გუნდი თამაშობდა და იქაური გაზეთები იყვნენ დაინტერესებულნი. საპასუხო თამაშები წუხელ უნდა გამართულიყო. მათ შედეგებსაც, ალბათ, ადრე თუ გვიან მოგაწვდით.

MADE IN USA

შვება - პაპანაქება სიცხეში

გრილი ყელსაბამი ამერიკიდან

"COOL TIE" - "ქულთაი"

არის სპეციალური წყლის შემსრუტავი გრილი ყელსაბამი, რომელიც 15-20 წუთით უნდა ჩადოთ ცივ წყალში, რის შედეგად "ქულთაი" განიერდება და ინარჩუნებს სიგრილეს დღის განმავლობაში!

სიამოვნებას მოჰგვრის ყველას! ბავშვებს, მოზარდებს, ასაკოვან ხალხს (წნევიანებს განსაკუთრებით).

რეკომენდირებულია ამერიკის ექიმთა ასოციაციის მიერ.

*"ქულთაი" - პაპანაქება სიცხეში მართლაც რომ სასწაულმოქმედია.*

*ნამდვილი საჩუქარი გულშემატკივრებისათვის.*

*შეიძინეთ და დარწმუნდებით*

დიდი არჩევანი ფერებში, მრავალჯერადი გამოყენება და რაც მთავარია მინიმალურ ფასებში.

LEMA INTERNATIONAL TRADING. INC

მასობრივი გაყიდვა მოხდება 1 და 6 აგვისტოს თბილისის „დინამოს" მატჩებზე.

GEORGIA vs ENGLAND

თბილისი. 9 ნოემბერი

## წარმატება წარმატებას შობს?

ისინი ერთმანეთის მოქიშპენი არ არიან. მწვრთნელებს [illegible] ქტოდ მოხდა. ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე [illegible] იბლზს გლენ ჰოდლი შეცვლიდა. პირველი დაწყებული საქმის დასასრულებლად ემზადებოდა, მეორე — ახლის დასაწყებად. ახალგაზრდა ჰოდლმა იცის მისი გამოცდილი წინამორბედის მსოფლმხედველობა და იდეები. ცხადია, იგი ნებით თუ უნებლიეთ რაღაცას შეცვლის, მაგრამ ძველის დანგრევა არ მოხდება. ჰოდლი ალბათ ნელნელა შეაცურებს თავის მოსაზრებებს ვენეიბლზის მიერ შექმნილ ნაკადში.

ნეტავ რას შეძლებს სანოემბროდ? სურვილი სხვაა, რეალობა სხვა. ხომ შეიძლება, კარტი აერიოს, ფეხი დაუცდეს, ჩანაფიქრი ვერ განახორციელოს? ყველაფერი შეიძლება მოხდეს, გარდა ერთისა: 9 ნოემბერს თბილისში ეროვნულ სტადიონზე წლის უდიდესი საფეხბურთო მატჩი გაიმართება და მის თუნდაც ისტორიულ მნიშვნელობას ვერაფერი დააკნინებს. იმ დროისთვის საქართველოს ნაკრებს უკვე ექნება ნათამაშები სხვა დიდი შეხვედრა, იტალიაში „სკუადრა აძურასთან", რომელსაც, სატურნიროს რომ თავი დავანებოთ, უბრალო ინტერესის თვალსაზრისით ზემოხსენებულზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. მაგრამ ის მაინც სტუმრობაა. შინ, მშობლიურ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტთან გაჯიბრება კი სხვაა. მას თავისებური, საოცარი ემოცია ახლდება თან.

შევიგრძნობთ რა წინასწარ იმ, 9 ნოემბრის საღამოს მღელვარებას, გთავაზობთ წერილების ციკლს, სადაც ინგლისურ პრესაზე დაყრდნობით ვისაუბრებთ ჩვენს მომავალ მეტოქეზე. უფრო კი მის ორ, წინა და ახლანდელ მწვრთნელზე. გაგაცნობთ მათ აზრებსა და საკუთრივ ტერი ვენეიბლზის სტატიას. ხომ ფაქტია, რომ ინგლისური ფეხბურთი, როგორც საკლუბო, ისე ნაკრები, ერთგვარ ცვლილებას განიცდის, ახალ თვისებებს იძენს, საეტაპო მომენტი უდგას და ამის სათავეებთან თუკი ვინმე დგას, ეს, უპირველესად, ტერი ვენეიბლზია.

### მართალი კაცი

ლანკასტერ გეიტიდან სიჩუმე ისმის. არადა, ხმა დაირხა, ნაკრების მწვრთნელად გლენ ჰოდლის დანიშვნის მიუხედავად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ვენეიბლზს რაიმე ახალ თანამდებობას შესთავაზებსო.

— რამდენადაც ვხვდები, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან აღარასოდეს ვითანამშრომლებ. არც დამკავშირებიან და არც რაიმე უთხოვიათ — ამბობს თავად ვენეიბლზი — არც მე ვარ ამით განაწყენებული და არც სინდისის ქენჯნას განვიცდი ევროპის ჩემპიონატის გამო. რაც შემეძლო, გავაკეთე, რისი მიღწევაც შემეძლო, მივაღწიე. ეს ფეხბურთია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთავარი ისაა, გინდა თუ არა რამის მიღწევა. მე გუნდში დიდებული ფეხბურთელები დავტოვე და თუ ძველებურად განვაგრძობთ, შეგვიძლია მომავალს იმედიანად შევხედოთ. ნამდვილად კმაყოფილი ვარ. თავიდან რომ მქონდეს იგივე გასავლელი, იოტისოდენსაც არ შევცვლიდი. ცხოვრებაში ფეხბურთისგან ისეთი სიამოვნება არ მიმიღია, ბოლო ხუთ კვირაში რომ მივიღე. ვიდრე მეგონა, იმაზე უკეთ გავისარჯე და ამ პერიოდის ყოველი წუთით აღტაცებული ვარ.

27 ივნისს ვენეიბლზი ნაკრებს გამოეთხოვა. იგი ჯერ მოთამაშეებს დაემშვიდობა, შემდეგ ქომაგებს, რომლებიც ორი წლის მანძილზე შეჰყურებდნენ და მის იმედსა და ოცნებას იზიარებდნენ. ამ გამომშვიდობებისას წარბიც არ შეუხრია, თუმცა, რომ გატრიალდა და მოულოდნელად ჟურნალისტთა უნებლიე ტაში მოესმა, მისი გამომეტყველება წამიერად შეიცვალა.

გერმანელებმა ინგლისი პენალტებით რომ დაამარცხეს, იგი ამბობდა, ნამდვილი განცდა ჯერ არ მწვევია, ის მერე მოვა, საკუთარ თავთან მარტო რომ დავრჩებიო.

— ისე ახლოს ვიყავით ფინალთან, რომ ამ სიახლოვიდან ჩვენი გავარდნა უცნაურად მომეჩვენა. რას იზამ, ასეთი რამ ადრეც მომხდარა. მდგომარეობას, სინდისი რომ არ მქეჯნის, ის ამსუბუქებს. არაფერს შევცვლიდი ნახევარფინალის ანგარიშის გარდა. გულში ის რომ მქონდეს, ასე ან ისე რატომ არ მოვიქეციო, სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ ჩვენი მზადება სერიოზული და მკაცრი იყო. ქომაგობა დიდებული, ფეხბურთელები საუცხოო — ჩემს 22 ბიჭს ამ ჩემპიონატის არცერთ გუნდში არ გავცვლიდი. ჩვენ ვიგებდით და ერთად ვხარობდით, წაგებაც ერთად გადავიტანეთ. რაც ხდებოდა, ყველაფერს ერთად ვხვდებოდით. ვერც ვიგონებ შემთხვევას, ჩემს ოთახში რომ ჩავკეტილიყავი. სტადიონიდან რომ ვბრუნდებოდით, ყველანი ერთად ვსხდებოდით, ვსვამდით, დროს ვატარებდით. მეც მათთან გადავკრავდი ხოლმე და ასე ვათენებდით. საოცარია, ერთად ყოფნა როგორ აახლოვებს ხალხს. მთავარი კი ის იყო, რომ ვიცოდით, ჩვენ გამარჯვება შეგვეძლო.

### გლენს

ვენეიბლზი ის კაცი არაა, გაიფხოროს და გლენ ჰოდლს ჭკუის მასწავლებლად დაუდგეს ან ნიშნის მოსაგებად ჩაუსაფრდეს. პირიქით, იმას ჩივის, ჰოდლს გუნდში ვარსკვლავები ჰყავს და შეცდომის დაშვებისა რომ შეეშინდეს, ემანდ, საქმე ცუდად არ წაუვიდესო.

— მე ჩემი მოვილიე, ახლა სიტყვა გლენზეა. ჭკუის სწავლება ჩემგან, ახლა, იოლია. ვეტყვი, ეს და ეს გაქვს გასაკეთებელი-მეთქი და მორჩა. მე შენ გეტყვი, ჩემი გასაკეთებელი იქნება. ამიტომ, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ საქმე მოულოდნელობითაა სავსე. მეც, ბობი რობსონის და გრემ ტეილორის მსგავსად აღმოვაჩინე, რომ იდეების ხორცშესხმას ორი წელი სჭირდება, მაგრამ ეს შრომა მაინც ყველაფერს მირჩევნია. შეუძლებელი არაფერია, უბრალოდ, ძალიან ძნელია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ არავისი უნდა გვეშინოდეს. სამ ფავორიტთან — ესპანეთთან, ჰოლანდიასთან და გერმანიასთან ვითამაშეთ და ჩინებულად გავართვით თავი. გლენს კიდევ ეს მინდა ვუთხრა: მეტისმეტად მნიშვნელოვანია ის დრო, ფიქრისთვის რომ უნდა მოიტოვოს. უმცირესი დეტალი, შესაძლოა, დიდი ხნის განსჯის საგნად იქცეს. სანახევრო იდეამ არ უნდა მოგასვენოს. მქონდა მომენტები, როდესაც რთული გადაწყვეტილებები უნდა მიმეღო და საათობითაც ვფიქრობდი. იცით, ჰოლანდიასთან მატჩი რატომ იყო კარგი? იმიტომ, რომ იგი აზრთა ჭიდილს წარმოადგენდა. მე ჩემი ფილოსოფია მქონდა და მივხვდი, როგორ უნდა გამეცოცხლებინა თამაში.

### ახალი ცოცხი

გლენ ჰოდლმა ვენეიბლზი შეცვალა და პირველი პრეს-კონფერენციაც გამართა. მას ეყო მხნეობა, გმირებად შერაცხული ინგლისელი ვარსკვლავებისთვის ეთქვა, წინ ცხარე ბრძოლები გელის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად და სამისოდ მზად უნდა ვიყოთ. პირველი თამაში მოლდოვაში 1 სექტემბერს გვაქვს, ინგლისში სეზონის დაწყებიდან ორად-ორი კვირის შემდეგ, ამიტომაც გუნდში ადგილი არავის აქვს განაღდებულიო.

— ფეხბურთელებმა ნაკრებში თამაშის უფლება უნდა მოიპოვონ. მე მსურს, მათი თამაში მუდამ მწვავე იყოს და ეს ყველა ინგლისელ ფეხბურთელს [illegible] ლი გუნდის წევრებს თუ სხვებს. ადგილი არავის აქვს დაჯავშნული.

ჰოდლის პრეს-კონფერენცია ბიშემ ებიში, იმ ბაზაზე გაიმართა, ევროპის ჩემპიონატის დროს ინგლისის ნაკრები რომ იყო დაბანაკებული. იგი სერიოზულ მიზნებს ისახავს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში და, როგორც ყველა მწვრთნელი, ცოტას წუწუნებს:

— მოსამზადებლად ცოტა დრო რჩება, მაგრამ ეს ფაქტია და ვერსად გაექცევი. ჩვენ ამ პირობებიდან გამომდინარე მაქსიმუმი უნდა შევძლოთ.

შესარჩევ ჯგუფის მეტოქეთაგან (იტალია, პოლონეთი, საქართველო, მოლდოვა) ჰოდლმა ყურადღება ძირითადად იტალიაზე გაამახვილა. მან თქვა, რომ მისი ძირითადი ამოცანაა არა 1998 წლის ჩემპიონატისთვის კარგი გუნდის მომზადება, არამედ იმ ჩემპიონატზე მოხვედრა.

— ყველაფერს ამ მიზნისკენ მივმართავ და სწორედ ამიტომ მთელი ყურადღება იტალიაზე მქონდა გადართული. იტალია საუცხოოდ ორგანიზებული გუნდია, ჩინებული ინტუიციით. მე უკვე ვიცი, როგორი თამაში მინდა მის წინააღმდეგ. აქ ძირითადი ამოცანა შესაფერისი ტაქტიკისთვის გამოსადეგი ფეხბურთელების შერჩევა მგონია. ჩემი მანერა დიდად განსხვავებული არ იქნება იმისგან, რასაც „სვინდონს" და „ჩელსის" ვათამაშებდი. დაცვაში მეც სამეულს გავიყვან. ახლანდელი ნაკრები ორწლიანი მზადების შედეგია. ახალგაზრდებმა ჩინებული სკოლა გაიარეს. სულ ვგრძნობდი, რომ ნაკრებში ტალანტები იყვნენ. შესაძლოა, ეს ტაქტიკის გამოც იყო. ახლა, ვფიქრობ, ცოტა გამოვშრით. გარდა ამისა, მოთამაშეები „უემბლიზე" გამოსვლას მიეჩვივნენ ბოლო ორი წლის მანძილზე, არადა, სტუმრობაც იმდენჯერვე მოგვიწევს. აქედან გამომდინარე, აზროვნების სტილის შეცვლა მოგვიხდება.

ევროპის ჩემპიონატზე კი ახალმა მწვრთნელმა აი, რა თქვა:

— შვეიცარიასთან ისეთი სტარტის შემდეგ ჩვენების ხილვა კარგი და სასიამოვნო იყო. მართალია, ცოტა ადრე რომ გავვარდნილიყავით, ჩემთვის ერთი მხრივ უკეთესიც იქნებოდა, მაგრამ არა უშავს. მწამს, წარმატება წარმატებას შობს.

**ილია ბაბუნაშვილი**

## კრივი



# რინგზედ ჩხუბობს და მის მიღმაც

კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) მძიმეწონოსან მსოფლიო ჩემპიონს, 28 წლის ამერიკელ მაიქლ მორერს არა და არ ელევა საქმეები, სამართალდამცავ ორგანოებთან რომ აკავშირებს.

აი, ახლაც, უფრო ზუსტად კი 19 აგვისტოს უნდა გაირჩეს მორერის მიერ ამ ერთი თვის წინ ერთ-ერთ ღამის კლუბში მოწყობილი დებოშის საქმე. მოკრივე ისე დამთვრალა, რომ ჩხუბის იშტაზე მოსულა, დაუწყია რა სასმისების მტვრევა და ვისკის ბოთლების სროლა.

გამოფხიზლებულ მორერს თავი უმართლებია, უკვე სრულწლოვანი ვარ და სმას ვერავინ ამიკრძალავსო. სასმელს ხომ ყველა ეტანება. მთავარია, კაცი ნარკომანი არ უნდა იყოსო.

მოკრივე ყაბულსაა, რომ კლუბს მსხვრევით მიყენებული ზარალი უზღოს. გარდა ამისა, იგი ათას დოლარსაც გადაიხდის ჯარიმად, პოლიცია კი ერთი წლით აღრიცხვაზე აიყვანს და თუ ამ ხნის მანძილზე რამეს დააშავებს, დაიჭერს.

ბოლო შვიდი წელია, მორერს ეს უკვე მესამე ნასამართლობა უგროვდება. 1989 წელს მოკრივე ქუჩის ჩხუბში ჩაება და მავანი მოქალაქე დაანოკაუტა, 1991 წელს კი უბანში კალათბურთს რომ თამაშობდა, პოლიციის პატრულთან კონფლიქტი მოუვიდა და წესრიგის დამცველს მუშტი უთავაზა.

**ნუგზარ ჯაბუა**

E-mail

ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ქველმოქმედი, უცხო ხილთა ტრფიალი

**ყაფლან ჯანდიერი**

გუშინწინ კვლავ შეგვეხმიანა ყარაჩიდან (პაკისტანი)

**მსოფლიო სპორტის შორეული ქომაგის ელექტრო-ბარათები**

რედაქციისაგან: ჩვენი ყარაჩელი კორესპონდენტის ზოგი მოსაზრება შეიძლება მეტისმეტად თამამად მოგეჩვენოთ, მაგრამ რაკი ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში ვართ, განსხვავებული აზრის მოსმენაც უნდა ვისწავლოთ. ისე კი, ფეხბურთის ჭარმაგი ქომაგების გასაგონად გავიმეორებთ ჩვენივე მესვეტე გოგი ახვლედიანის შეგონებას: „შეხედე სვეტს მსუბუქად!"

# ევრიკა!

## FOOTY ანუ ავსტრალიური ბურთაობა



მანუჩარ მაჩაიძე არ გეგონოთ: „ღმერთად" ცნობილი გარი აბლეთი ბურთს პაერში დაიჭერს და მერე მორიგ გოლს გაიტანს

აქ, შორეულ ყარაჩში, ტელევიზორით რომ ვუცქირე ევროპის ჩემპიონატს, ჩავუღრმავდი მსოფლიო ფეხბურთის მდგომარეობას. ფიფა-სი არ ვიცი, მაგრამ მე კი ძალზედ მაწუხებს თამაშის მერმისი, თუმც კი თავგადაკლული ქომაგი არა ვარ, თვით დიეგო მარადონასთანაც მომსვლია უსიამოვნება და არც ბაერო-სავით ვფიქრობ, მსოფლიოს ერებს მაინდამაინც მრგვალი ბურთის ფეხით გორება გააერთიანებსო.

როგორც სპორტის დიდ ქომაგს, გული მტკივა, რომ ფეხბურთი გაბერწდა — ბურთი ველარ გადის. თუმც თამაშები ჯიგრიანად მიმდინარეობს, მაინც ფრედ სრულდება და მერე რაღაც იდიოტური პენალტები ავლენენ ჩემპიონს.

არ მომეწონა ბოლოდროინდელი სიახლეც, ხან „უეცარი სიკვდილი" რომ უწოდეს და ხან „ოქროს გოლი". არ მომეწონა იმიტომ, რომ საკმარისია დამატებით დროში ბურთი კარში შეაგდო, შენიანები მყის მრგვალ ვირსა და ხევენა-კოცნას გამართავენ, ხალხიც მოედანს შემოესევა და მერე, აბა, რომელი მსაჯი გადადენის ამდენ გადარეულს მოედნიდან, აქაო და თამაშგარე იყო, ბურთი არ ითვლება და თამაში უნდა გაგრძელდესო. ერთი სიტყვით, ეს ახალი წესი სპორტული აფერისტობის მორიგ აყვავებას ძალიან წაადგება.

ასე მგონია, ამგვარ ექსპერიმენტებს თამაში ქმედება სჯობს. შესაცვლელია წმიდაწმიდა რამ — არა რეგლამენტი, არამედ ფეხბურთის წესები. კარგად მესმის, რომ სანამ ფიფა არსებობს, ამას არავინ იზამს — ამ მოღვაწეებს თავიანთი სპორტის დასამარება ურჩევნიათ სტერეოტიპების უარყოფას.

ჩემი აზრით, ფეხბურთში გასაუქმებელია უმთავრესი ყავლგასული პრინციპი — თამაშგარე. აქ, პაკისტანში, თვალნათლივ დავინახე, თუ ამ ჭირის მოშორება როგორ მოუხდა ბალახის ჰოკეის. ამ თამაშსაც კრიზისი ჰქონდა — თამაშიდან (და არა ხელოვნური კუთხურიდან) გოლები ცოტა გადიოდა, ახლა კი საქმე გამოსწორდა. რაც მალე მიბაძავს ფეხბურთი ჰოკეის, მით უკეთესი მისთვის: ამ ოცი წლის წინ ხომ ჰოკეიმ გადაიღო ორკაცა თამაშგარე ფეხბურთიდან და ეშველა, თორემ მანამ სამკაცა ჰქონდა.

მეორე, ალსადგენია XIX საუკუნის 80-იანი წლების ვითარება, როცა ფეხბურთელი ახტებოდა, ბურთს ხელით დაიჭერდა და მერე თავისუფალს დაარტყამდა. ვიცი, აქ ბებერი გულშემატკივრები ამიმხედრდებიან, ძმაო, შენ აქ რაგბი ხომ არ გგონიაო, მაგრამ მე თავს იმით ვიმართლებ, რომ აქ, ყარაჩში, რაგბს არავინ იცნობს, ეს მეორე იდეა კი ისევ და ისევ ტელევიზორში ნანახმა ერთმა გადასარევმა თამაშმა მომაწოდა.

აქ მძლავრი სატელიტური ქსელია. ბოლო თვეებია, მე და ჩემი ახალი მეზობლები — ნავაზ პამედი და აშრაფ ნიაზ რეპმანი ძალიან გვასიამოვნა FOOTY-ის — Aussie Rules Football-ის, „სარბიელის" ენაზე ავსტრალიური ბურთაობის Live (პირდაპირმა) რეპორტაჟებმა. შეიძლება საქართველოშიც გინახავთ ამ სპორტის რჩეული კადრები, მე კი ერთიანად მოვიხიბლე: ამაზე მარტივი, სადა, უწესებო, ხალასი თამაში არსად მინახავს. ხალხით ხომ გადაჯგგილია 90-ათასიანი სტადიონი და მთელი მატჩიც საშინელი წივილ-კივილია. ანგარიში კალათბურთივით სამნიშნაა. 18-18 კაცი მთელი თამაში თავ-ქუდმოგლეჯილი დარბის, ჩხუბობს, ხტება, ბურთს ფეხს ურახუნებს და მოსეირეს ერთი წუთითაც არ უტოვებს სულის მოთქმის საშუალებას.

მერე რათა ძმანო? — რათა და იმად, რომ თუმც FOOTY ნაღდი ფეხბურთია, მასში თამაშგარე არაა და კარში დარტყმამდე ბურთის ხელით დაჭერა შეიძლება. ეს თავისუფალი ხალხის, ყოფილი კატორღელებისა და ოქროს მაძიებლების თამაშია. როგორც ენციკლოპედიებში ამოვიკითხე, თუმც FOOTY-ს წელს 100 წელი შეუსრულდა, იგი დღესაც ლამისაა პირველყოფილი ფორმით მიეწოდება მუშტარს.

ეჭვი მაქვს, რომ ფიფა-მაც იცის ავსტრალიური ბურთაობის არსებობა და ქვეცნობიერად მისი ეშინია. თქვენ მეტყვით, თუ ეგეთი კარგი რამაა ეგ FOOTY, მსოფლიოში რაღად ვერ გავრცელდაო. ვაცალოთ, ძმაო, — ასეთია ჩემი პასუხი.

ფეხბურთი იმად მოედო მსოფლიოს, რომ იმპერიულმა ინგლისმა დაიპყრო ეგ მსოფლიო. ეხლა ამერიკა დომინირებს ტელევიზიით და სად აღარ თამაშობენ ბეისბოლსა და ამერიკულ ბურთაობას.

აი, ავსტრალია კი ჯერ სულ ჩვილი ქვეყანაა — 2001 წელს 100 წლისა შეიქნება, ბრიტანეთის ყმა აღარ იქნება, დროშას გამოიცვლის, რესპუბლიკა გახდება და იმედია, ნელ-ნელა თავის კულტურასაც თავს მოახვევს კაცობრიობას.

ძრწოდე ფეხბურთო, ვინძლო კადნიერმა და უსადავესმა FOOTY-მ არ წაგგვაროს სამწყსო!



ყაფლან ჯანდიერი
Qaflan@HuzLiBab.edu.pk

## ველორბოლა

საფრანგეთის ველოტურში გამარჯვებულ დანიელ ბიარნე რი[illegible]სა და მის თანაგუნდელებს — „დოიჩე ტელეკომის" მრბოლელებს გულითადი შეხვედრა მოუწყვეს [illegible], მაგრამ [illegible] მეტი [illegible] ულრიხს, ჯამში მეორე ადგილზე რომ გავიდა. იმა[illegible] „[illegible]" ლიდერი [illegible] აღარ იქნება, არამედ ულრიხიო, თუმც არც ერიკ ცაბელის დავიწყება ეგების, ერთობ ძლიერი სპრინტერი რომაა.



ერიკ ცაბელი გაისად ვინძლო „დოიჩე ტელეკომის" ლიდერად მოგვევლინოს

ამასობაში გაირკვა, რომ მთავარი სპონსორი გამოეცალა აშშ-ის უმთავრეს ტურს, 1989 წლიდან ყოველ გაზაფხულს რომ იმართებოდა. ამ შეჯიბრს თავიდან მთავარი დამფინანსებლის, ცნობილი ანტეპრენერის — დონალდ ტრამპის ხათრით „ტრამპის ტური" ერქვა, მაგრამ 1991 წლიდან ინიციატივა ხელთ იგდო „დიუპონმა", რომელიც წიაღისეულის მაძიებელი, ქიმიისა და ენერგეტიკის გლობალური კომპანიაა, და ტურს თავისი სახელი დაანათლა.

„დიუპონის" მავან მენეჯერს უთქვამს, ველოტური ერთობ გვეხმარებოდა პროდუქციისა და მომსახურების ამერიკაში სარეკლამოდ, მაგრამ ამიერიდან უფრო საუცხოეთოდ გვწადია ჩვენი საქმიანობის წარმოჩინება, რის გამოც ტურის ძირითადი სპონსორობისა და სახელდების პრეტენზია აღარა გვაქვსო. არადა, ერთკვირიანი შეჯიბრის გამართვა ყოველწლიურად 7,5 მილიონი დოლარი ჯდება, ამ თანხის მესამედს კი „დიუპონი" გამოყოფდა ხოლმე.

ტური ტრადიციულად იწყებოდა დელავერის შტატის ქალაქ ვილმინგთონში, სადაც „დიუპონს" შტაბ-ბინა აქვს. გამორიცხული არაა, რომ 1998 წელსაც იქ დაიწყოს შეჯიბრი, მაგრამ ამ დროს ტურს უკვე სხვისი სახელი ერქმევა.

**მიხო ნინუა**

## ჩოგბურთი



# ცუნდრუკმა მუსტერმა ყველა დააღალატა

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ავსტრიელ თომას მუსტერს, მსოფლიოს მეორე ჩოგანი რომაა, მაგრამ ატლანტის ოლიმპიადაზე არ წაბრძანდა, აქაო და შინ, კიცბიუელში, ვაჟ პროფესიონალთა ასოციაციის (ატპ) ტურის უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრი მაქვსო — „ჯენერალის" (სპონსორია!) ღია პირველობა, რომლის ჯამური საპრიზო ფონდი 435 ათასი დოლარი იყო.

მუსტერი საშემოდგომოდ პირველ ჩოგნად გახდომას გეგმავს და საკლასიფიკაციო ქულებს კრუხივით დაჰკანკალებს. ამიტომაც მიიღო ერთი შეხედვით პარადოქსული გადაწყვეტილება, მაგრამ განზრახულს ხორცი ვერ შეასხა, რადგანაც ამჩატდა, ყოვლად უაზრო წყვილთა (?!) შეჯიბრშიც ჩაება და ისე დაიღალა, რომ ვეღარც ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვა, თანაც სად — საყვარელ თიხაზე!

მუსტერმა პირველ წრეში 71 წუთში დაამარცხა ესპანელი ემილიო სანჩესი 6:3, 6:3; მეორეში — არგენტინელი მარიანო საბალეტა 6:1, 6:2, მაგრამ მეოთხედფინალში 82 წუთში თავად 1:6, 5:7 დამარცხდა ესპანელ ემილიო ალვარესთან, ვინაც მანამდე უკრაინელი ანდრეი მედვედევი გააგდო 2:6, 7:6, 6:1, მსოფლიო კლასიფიკაციაში 160-ე ადგილზეა, ტურნირში კი იმის წყალობით ჩაება, რომ მავანი მონაწილე მას უეცრად გამოაკლდა.

ნახევარფინალებში ალვარესი 4:6, 6:1, 6:3 დაამარცხა ესპანელმა ალბერტო ბერესატეგიმ (5), მეორე ესპანელმა — ალექს კორეჩამ (11) კი 7:6, 6:1 აჯობა ხუან-ალბერტ ვილოკას (ესპანეთი), ვისი მსხვერპლიც შეიქნა ჩილელი მარსელო რიოსი (2) 6:1, 7:6.

ფინალში მსოფლიოს 25-ე ჩოგანმა ბერესატეგიმ 6:2, 6:4, 6:4 დაამარცხა 42-ე ჩოგანი კორეჩა. რაკი მუსტერი გავარდა, ტრიბუნები დაცარიელდა: ვისაც ფინალის ბილეთი წინდაწინ ეყიდა, ისიც სტადიონის წინ იდგა და იმედგაცრუებული ყიდდა.

მუსტერი ახლა კბილებს ილესავს ჯერ კანადის, შემდეგ კი აშშ-ის ღია პირველობებისათვის. ეს უკანასკნელი დიდი სლემის ბოლო, მეოთხე ტურნირია.

**ირაკლი ნინუა**

### ჰომეინი ცოცხალი იყოს, გიჩვენებდათ ჩოგბურთსა!

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ კარჩაკეტილი სპარსეთი თანდათან უბრუნდება ევროპულ ცივილიზაციას და იმპერიალისტური ჩოგბურთიც შეუწყნარებია.

23 აგვისტოს თეირანში გაჩაღდება საერთაშორისო შეჯიბრი, რომელშიც ორგკომიტეტის წევრის, ვინმე აბას გოლმანის ცნობით ავსტრალიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პაკისტანის, ესპანეთისა და თვით აშშ-ის 25 მოთამაშე აპირებს თამაშს.

საპრიზო ფონდი მოკრძალებულია — სულ რაღაც 25 ათასი დოლარი. გამარჯვებულს 900 დოლარი ერგება.

## მათი ზნე-ჩვეულებები



ამ ბოლო დროს დიდ სპორტულ შეჯიბრებებს ერთობ შეეჩვივნენ სთრიქერები — ხალხი, მთლად თუ არა, სანახევროდ რომ გაშიშვლდებიან და რიცხვმრავალი აუდიტორიის თვალწინ გაგანია ასპარეზობისას გაიჭრებიან სარბიელზე.

ამათ დანახვაზე მონაწილეებსა და მაყურებლებს სხვადასხვაგვარი რეაქცია აქვთ. დრო იყო, სთრიქერის გამოჩენას რიგორისტები ალშფოთებით ხვდებოდნენ, ესაო და ზნეობა წახდაო. მაგრამ მაშინაც ეს ამბავი ძალზედ სიამოვნებდათ ბულვარულ გაზეთებს, რაკი საკბილოს გაუჩენდათ. ასე მაგალითად, ფრიადი ზრდილობით სახელგანთქმულ თვიქნემში, ინგლისური რაგბის მექა რომაა, 1982 წელს ინგლისი — ავსტრალიის მატჩის დროს რომ გამოჩნდა შიშველი ქალი, გაზეთებმა მეორე დილით დაწერეს, ეს მომენტი ულიმლამო შეხვედრის ნაღდი პაილაითი იყოო.

მას აქეთ სთრიქერობის ინსტიტუტი დაიხვეწა და საზოგადოებამაც მას უფრო გულისგარეთ დაუწყო ცქერა. ასე მაგალითად, ბოლო უიმბლდონზე, ვაჟთა ფინალის დროს ოდენ წინსაფრიანი, დედიშობილა სტუდენტი გოგო დაცვას გაუსხლტა და ვაჟი ჩოგბურთელებისკენ გაიქცა, მათთან მისვლის შემდეგ კი სამოსი აიფრიალა და ამერიკელ ზანგს ყოველი დაფარული გაუმჟღავნა.

ამანაც შეიფერა და თავადაც ოხუნჯობას მოყვა. თამაშს თითქმის მთელი სამეფო ოჯახი ესწრებოდა. მეზობლად მსხდომთ უფიქრიათ, უფლისწულებმა და სიძერძლებმა, აგრეთვე მომღერალმა პლასიდო დომინგომ სეირი არ იუკადრისონ და ემანდ შუბლი არ შეიკრანო, მაგრამ ამათაც გულიანად უცინიათ, ეს რა კარგი ოინიაო. ისე კი, სამეფო საგვარეულოში ისე გახშირებულა ცოლ-ქმრული ღალატი და სკანდალები, რომ მავან რიგითს სთრიქერს რომ შემოსწყრომოდნენ, მართლაც მკრეხელობა იქნებოდა.

უიმბლდონელი სთრიქერი გაქცევას არც ცდილა — პოლიციელებს ჩაეხუტა. ამათ სასწრაფოდ მოახურეს ზეწრისმაგვარი რამ, განყოფილებაში მიიყვანეს და იქ ფინალის დამთავრებამდე აყურყუტეს, ემანდ ისევ არ გაგვექცეს და კორტზე არ გაიჭრასო.

მერე და მერე გაირკვა ამგვარი ანცობის პირველმიზეზიც: თურმე ნუ იტყვით, ყველაფერი ტოტალიზატორების ბრალი ყოფილა. ესენი ფსონებს იღებენ, ამა და ამ შეჯიბრების დროს მოედანზე სთრიქერი გამოჩნდებაო. ამის შემდეგ ამ ვარაუდის ახდენა უკვე მონდომებისა და, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

ქალი სთრიქერი წინა კვირაში ლონდონის „ლორდსზეც" გამოჩნდა, ინგლისისა და პაკისტანის კრიკეტის მატჩის დროს. ეს თამაში მთელს აზიაში გადაიცემოდა. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდათ ცდომილის დანახვაზე მუსლიმანურ ქვეყნებში, სადაც ქალი საზოგადოებაში სახედაბურული ჩნდება.

გავრცელებული ყოფილა ვაჟთა სთრიქერობაც, რაც ერთობ ამაზრზენი რამ უნდა იყოს. შარშან, მავანი დიდი საგოლფო შეჯიბრის დროს გზაზე გამოჩენილა მავანი ჯენთლმენი, ვისი ერთადერთი სამოსიც ცილინდრი ყოფილა. ამ ოხუნჯს გავაზე სწერებია „19th hole", ე. ი. მე-19 ხვრელიო. გოლფის მცოდნე ხალხი დააფასებდა იუმორს: საქმე ისაა, რომ გოლფის სათამაშო გზაზე 18 ხვრელია, რომლებშიც ბურთს აგდებენ და რომლებსაც „სარბიელში" „ორმოებად" მოვიხსენიებთ ხოლმე.

# სთრიქერობა რთული ფენომენია

**ვასილ გუჩმაზაშვილი**

### არიქა!

ვასრულებთ ყველა სახის: ელექტრო, გაჯისა თუ სამღებრო („სამალიარო") სამუშაოებს, თანაც შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (დღის 3 საათის შემდეგ). იკითხეთ თემური ან ბიჭიკო

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29